www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 29 აგვისტო, 2003 წელი. №232 (444) | ფასი 30 თეთრი

# "დეპუტატების დირექტორის" საჩუქრები

## პარლამენტის თავმჯდომარემ მარიამობა უპატრონო ბავშვებს და ჭარისკაცებს მიულოცა

სოფო ბუკია



ბავშვთა სახლის აღსაზრდელების აღმოჩენით ნინო ბურჯანაძე „ისე უფრო ლამაზია, ვიდრე ტელევიზორში".

მარიამობის დღესასწაულზე ავლაბრის ბავშვთა სახლში მისულ პარლამენტის თავმჯდომარეს გოგონები საკუთარი ხელით შეკერილი კაბებით შეხვდნენ. **"ეს მე თქვენთვის შევკერე,"** – ნინო გელდიაშვილმა თავის სეხნიას სამახსოვროდ შარფი გაუწოდა. პარლამენტის თავმჯდომარე პატარა ნინოს შეჰპირდა, რომ მისი შარფით სულ მალე ტელევიზორში გამოჩნდება. ნინო მოუთმენლად ელოდება, როდის ნახავს "კურიერში" "დეპუტატების დირექტორს" მისი ხელით შეკერილი შარფით. ავლაბრის ბავშვთა სახლის ყველაზე ლამაზი გოგონა თიკა სტუმრებთან საკუთარი ფოტოებით ამაყობს. თიკა წელს სკოლაში წავა და უკვე "სილამაზის დედოფლის" გვირგვინი აქვს. თიკას ძალიან ნაღვლიანი და ლამაზი თვალები აქვს, დედა მას არ ახსოვს. გიორგიმ კონსტანტინე გამსახურდიას "ზღვისფერი გაქვს თვალები..." ნამდვილი მსახიობივით წაიკითხა, მას ლექსები უყვარს, თუმცა ფეხბურთელობაზე ოცნებობს. **"მგონი, ფეხბურთელი ვერ გავხდები იმიტომ, რომ ბუცები არა მაქვს,"** – ამბობს გიორგი.

ავლაბრის ბავშვთა სახლში უნიჭო ბავშვს ვერ ნახავთ. ზოგი კერავს, ზოგი ლექსებს კითხულობს, ზოგი ხატავს, ზოგიც კარში დგას და ბურთს იგერიებს... "მომავლის სახლში" მშობელთა მზრუნველობას მოკლებული სამოცი ბავშვია, შესაბამისად, სამოცი განსხვავებული ნიჭი, ოცნება...

გაგრძელება A3 გვერდზე

# გავყაროთ ქართველები - აცხადებს ჟირინოვსკი

*რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ვლადიმირ ჟირინოვსკის ახალი გატაცება აქვს - "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთსა და საქართველოში მეფეთა ინსტიტუტის შემოღებას უჭერს მხარს. "არ შეიძლება, ჩვენ პრეზიდენტები გვმართავდნენ. უნიტარული სახელმწიფოს მოდელი ორივე შემთხვევაში გაამართლებდა," - ამბობს იგი.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**- მომავალ საპარლამენტო არჩევნებში როგორ გადაინაწილებენ რუსეთის პოლიტიკური პარტიები ხმებს, ვინ გაიმარჯვებს?**

- გაიმარჯვებს ის პარტია, ვინც რუსეთისა და რუსი ეროვნების ხალხის სიკეთეზე ფიქრობს. ასეთი კი მარტო ჩემი პარტიაა. შეხედეთ, რას გვთავაზობენ დემოკრატები და მემარჯვენეები - რუსეთის დაშლას, არმიის მოსპობას, პროსტიტუციას. რუსეთის განვითარება კი მხოლოდ იმპერიის საზღვრებშია შესაძლებელი - ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფარგლებში და ეს მოდელი არც საქართველოს აწყენდა. ჩვენთან კი რა გამოდის? გვყავს გედი, კიბო და ქარიყლაპია კომუნისტები.

- კიბოა, უკან მიგვათრევენ. ქარიყლაპია - ხელისუფლების პარტია, წყალქვეშაა და ვერ გაიგებ, ვინ არიან. ჩვენი დემოკრატები კი გედებივით ჰაერში დაფრინავენ, სულ ადამიანის უფლებებს დაეძებენ. რომელ უფლებებზეა ლაპარაკი? ამიტომაც დგას ჩვენი რუსული "პოვოზკა". მოკვეთეთ კიბო ერთხელ და სამუდამოდ. ქარიყლაპია ოკეანეში გაუშვით, იცუროს, გედი – ეშმაკებთან. დასვით "პოვოზკაზე" რუსეთის უმაღლესი მმართველი და მთელი ხალხი გაჰყვება.

**- საინტერესოა, ასეთი რუსეთი იმეგობრებს თუ არა საქართველოსთან?**

- ასეთი რუსეთი უმალ აღადგენს იმპერიას ძველ ფარგლებში. ყოფილი სსრკ ტერიტორიები აღდგება. უკვე გვეხვეწებიან მოლდოვა, სომხეთი, ყირგიზეთი, რუსეთ-უკრაინა-ბელორუსის ბედი გადაწყვეტილია. დარჩა ერთი ჯიუტი საქართველო. არა უშავს, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლით თქვენ მაინც ჩვენსკენ მოტრიალდებით. მე თბილისში მეგობრები მყავს და კარგად ვიცი, რომ იქ უკვე პრორუსული პოზიციაა. ხალხს, უბრალოდ, ეშინია ამის გამჟღავნების.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "თბილგაზი" პატრონს ელის

*გაზის სადისტრიბუციო ქსელის წამგებიანობა ეკონომიკური აბსურდია, მაგრამ "თბილგაზი" საკრებულოს საბიუჯეტო თანხებს კვლავ დაუსრულებლად იწოვს. ამდენად, მისი 10-წლიანი მართვის უფლებით გაცემა, ფინანსური ტვირთისა და მძიმე პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა, დღეს საკრებულოსაც ხელს აძლევს. ამასობაში კი დედაქალაქის გაზმომარაგების საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დედაქალაქის ცენტრი, უკვე მეორე თვეა, გაზის გარეშეა დარჩენილი. შესაძლოა, თბილისის დარჩენილი ნაწილიც გაზის გარეშე დარჩეს. "იტერა" მთავრობას პერმანენტულად შეახსენებს, რომ მოხმარებული გაზის საფასურის ვადა "თბილგაზს", უკვე დიდი ხანია, ამოეწურა და დედაქალაქისათვის გაზმომარაგების შეწყვეტით იმუქრება. იმისათვის, რომ დედაქალაქს გაზის მოწოდება მთლიანად არ შეუწყდეს, უახლოეს დღეებში მერიას, უკვე მერამდენედ, კვლავ კრედიტის აღებაზე მოუწევს ზრუნვა.*

მაია ურუშაძე

მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი სახეზეა და "თბილგაზს" "იტერასგან" მიღებული 150 ათასი კუბური მეტრი გაზის შევსება გაზის კორპორაციის მიერ მოწოდებული გაზით უწევს, "თბილგაზში" გაზის ტოტალურ გამორთვებს მხოლოდ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებით ხსნიან და მათი დასრულების სავარაუდო ვადას არ აკონკრეტებენ. ამ სამუშაოებს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული სააქციო საზოგადოება "ინჟმშენი" ატარებს და ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ 4,2 მილიონ ლარს ხარჯავს.

ექსპერტთა შეფასებით ეს სამუშაოები "წყლის ნაყვაა", რადგან "თბილგაზის" დაზიანებულ ქსელს გამოცვლა კი არა, კოროზიისგან დამცავი სისტემის აღდგენა სჭირდება. როგორც ექსპერტი ანდრე კარბელაშვილი აცხადებს, **"სარემონტო სამუშაოები, რასაც "ინჟმშენი" ატარებს, შედეგს ვერ მოიტანს, რადგან სულ მალე მილებს კოროზია ისევ დააზიანებს. უკვე ათი წელია, რაც უსახსრობის გამო "თბილგაზმა" მილსადენებს**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ძველი ამბავი ახალი ინტერპრეტაციით

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ტენდერის შედეგები, რომელიც მეანობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამშობიარო სახლების შერჩევას ითვალისწინებდა, ელვისებური სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. არადა ამ შემთხვევაში ახალი და მოულოდნელი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, არჩევნები ახალი წელივითაა, როცა პარტიებს თოვლის ბაბუასავით მოაქვთ ხოლმე "საჩუქრები".

A3

# მწირი არჩევანი

*გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ეუთო-სა და ევროსაბჭოს სპეციალური კომისიის წარმომადგენლები დახურულ კარს მიღმა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ხვდებოდნენ. ჩვენი ინფორმაციით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატურების განხილვა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და, მთლიანობაში, უშედეგოდაც დასრულდა. პარტიების ლიდერთა უმრავლესობა არც კანდიდატებით მოხიბლულან და არც საკუთარი წარმოუდგენიათ. თანაც, პრეტენდენტთა 25-კაციან ჩამონათვალში არ მოიძებნა ისეთი სახელი და გვარი, რომელიც ყველა პარტიისათვის, მეტ-ნაკლებად მაინც, მისაღები იქნებოდა. ასე რომ, ქართულ პოლიტელიტასთან შეხვედრამ ლივიუ ბოტასა და პლამენ ნიკოლოვს მათზე დაკისრებული ამოცანა ოდნავადაც არ შეუმსუბუქა. შესაძლოა, პოზიციების საბოლოო ჩამოყალიბებაში უცხოელ დიპლომატებს უფრო მესამე სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა დაეხმაროს.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებსაც ცესკო-ს თავმჯდომარის სავარძლის დაპატრონება სურთ. ამ სიის გაცნობისთანავე გასაგები ხდება, თუ რას გულისხმობდა პლამენ ნიკოლოვი, როდესაც ამბობდა, რომ საქართველოს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ ამ პოსტზე უფრო მეტი კანდიდატი იყოს დასახელებულიო.

დავიწყოთ იმით, რომ პრეტენდენტთა ნაწილი ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობია და მათი გვარები - არაფრისმთქმელი. კანდიდატთა მეორე ნაწილი კი ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირდება, რაც ეუთო-ს სტანდარტებს აშკარად არ შეესაბამება. რჩება მხოლოდ რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი კანდიდატი. შესაბამისად, არჩევანი საკმაოდ მწირია.

მაშ ასე: კანდიდატთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | |
| ბათუმი | 32 | |
| ქუთაისი | 35 | |
| სოხუმი | 32 | |
| გორი | 32 | |
| ცხინვალი | 32 | |
| თელავი | 32 | |
| ბოლნისი | 32 | |
| ონი | 30 | |
| საგარეჯო | 30 | |
| ლაგოდეხი | 33 | |
| ტყიბული | 32 | |
| თიანეთი | 27 | |
| დუშეთი | 28 | |
| მანგლისი | 27 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4625 |
| გირვანქა სტერლ | 3.4452 |
| რუბლი | 0.0705 |

# ბლერი დაკითხეს




REUTERS

ბლერი მეორე პრემიერია ინგლისის ისტორიაში, რომელსაც გამოძიების წინაშე მოუწია ჩვენების მიცემა.

გუშინ ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი სპეციალური კომისიის წინაშე წარდგა, რომელიც ინგლისელი მეცნიერისა და თავდაცვის სამინისტროს კონსულტანტის, დევიდ კელის თვითმკვლელობის საქმეს იძიებს.

ბლერი მეორე პრემიერი იყო ინგლისის ისტორიაში, რომელსაც გამოძიების წინაშე მოუწია ჩვენების მიცემა. სხვათა შორის, პირველი ჯონ მეიჯორი იყო და ისიც ერაყთან დაკავშირებით პასუხობდა კითხვებს.

ბლერის განცხადებით, მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ დაზვერვის ზოგიერთი ოფიცერი ყბადაღებული ერაყის დოსიეში მოყვანილ ფაქტებს არ ეთანხმებოდა.

რაც შეეხება მისი მრჩევლის, კემპბელის მონაწილეობას დოსიეს "შელამაზებაში", პრემიერმა განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა დოკუმენტის პრეზენტაციისათვის მომზადებაში სავსებით ლოგიკური იყო.

გაგრძელება A5 გვერდზე

# აზერბაიჯანში საარჩევნო კამპანია დაიწყო

რევაზ ბახტაძე

აზერბაიჯანის ოთხმა მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელიც გაერთიანების მიზნით ამ კვირაში ლონდონში შეიკრიბა, საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი კანდიდატურის წამოყენება ვერ შეძლო. სამაგიეროდ, მათ წერილი გაუგზავნეს ბუშს და მსოფლიო საზოგადოებას და აზერბაიჯანში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში დახმარება სთხოვეს.

სახელმწიფო დეპარტამენტმაც არ დაიზარა და მისი წარმომადგენლის პირით განაცხადა, რომ ამჟამად აზერბაიჯანში აშშ-ს ძირითად ინტერესს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება წარმოადგენს.

ოპოზიცია მაინც უკმაყოფილო დარჩა. რადგან ამ განცხადებას წინ უძღოდა სახელმწიფო მდივნის მოადგილის, არმიტიჯის შეხვედრა ამერიკაში სტუმრად მყოფ ილჰამ ალიევთან. ეს შეხვედრა ოპოზიციამ იმის ნიშნად აღიქვა, რომ ამერიკა მხარს სწორედ უმცროს ალიევს უჭერს (აზერბაიჯანის ტელეარხებმაც იზრუნეს იმაზე, რომ ეს შეხვედრა ზუსტად ასე ყოფილიყო გაგებული) და ამერიკაზე გაბრაზდა (საქართველოსაგან განსხვავებით, სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელს შეხვდნენ და ოპოზიციასთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს). ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ეტიბარ მამედოვმა განაცხადა: ვაშინგტონს, რომელიც მთელ მსოფლიოში დემოკრატიის მთავარ დამცველად ითვლება, ასეთი რამ არ ეკადრებაო.

აზერბაიჯანის ოპოზიცია ნაწყენია რუსეთზეც, თურქეთზეც და, როგორც ჩანს, სომხეთზეც, რადგან ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმაც განაცხადა, რომ ილჰამ ალიევი ერევნისათვის ყველაზე მისაღები კანდიდატურაა.

25 აგვისტოდან აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიებმა პრეზიდენტობის კანდიდატებს უფასო სატელევიზიო საეთერო დრო დაუთმო. ოპოზიციური ლიდერებიც, რომლებსაც ტელევიზიით გამოსვლის იშვიათი შესაძლებლობა მიეცათ, მთელი მონდომებით შეუდგნენ ერთმანეთის ლანძღვას და დასავლეთის ქვეყნებიდან იმის მოთხოვნას, რომ მათ აზერბაიჯანში დემოკრატიული არჩევნები უზრუნველყონ.

ხელისუფლების მომხრე პრეზიდენტობის კანდიდატებს (რაც არ უნდა საოცარი იყოს, ალიევებთან ერთად, ასეთები სხვებიც არიან) მხოლოდ იმის დამატებაღა უწევთ, რომ ასეთი ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა ან ვერაფერს შეცვლის, ან ქვეყანას ქაოსისაკენ წაიყვანს.

# პოლიციასთან შეტაკებისას ერთი თავდამსხმელი დაიღუპა

გუშინ, გვიან ღამით, ზუგდიდის ცენტრში, ფაიფურის დასახლებაში, სროლის ხმა ისმოდა. პოლიციელებსა და თავდამსხმელებს შორის ატეხილი ორმხრივი სროლა მსხვერპლით დასრულდა.

სამი შეიარაღებული, ნიღბიანი თავდამსხმელი, დაყაჩაღების მიზნით, გამვლელ ავტომანქანას წინ გადაუდგა. ნიღბიანებმა მგზავრებს მანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს და თან ცეცხლი გაუხსნეს. მათთვის მოულოდნელად ავტომანქანაში პოლიციელები აღმოჩნდნენ. მათ თავდამსხმელებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო სროლით დაზნეულმა თავდამსხმელებმა გაქცევა ამჯობინეს. ორმა მათგანმა მოახერხა მიმალვა. მესამე თავდამსხმელის ცხედარი კი სამართალდამცველებმა გამთენიისას შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იპოვეს.

"პოლიცია იძულებული გახდა, იარაღი გამოეყენებინა და სროლაზე სროლითვე ეპასუხა. სიბნელის გამო ღამით ვერაფერი ვიპოვეთ. უკვე სინათლეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოვაჩინეთ ორმხრივი სროლისას ყელის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისგან გარდაცვლილი ერთ-ერთი თავდამსხმელი. უკვე დადგენილია მისი ვინაობა. ის გახლავთ 23 წლის პაატა ჯიჭონაია. როგორც ჩანს, გაქცეულმა, თანამზრახველმა ყაჩაღებმა დაჭრილი გზაზე მიატოვეს და ის სისხლისგან დაიცალა", - ასეთი კომენტარი გაგვიკეთეს მომხდართან დაკავშირებით ზუგდიდელმა სამართალდამცველებმა. მათივე თქმით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, ნიღაბი და სხვადასხვა საბრძოლო ნივთიერება. მიუხედავად იმისა, რომ გაქცეული ორი თავდამსხმელის ადგილსამყოფელისა და ვინაობის შესახებ პოლიციამ ჯერ არაფერი იცის, სამართალდამცველები დარწმუნებულები არიან, რომ მათ აუცილებლად მიაგნებენ.

*24 საათი*

# 17 წლით პატიმრობა ძალადობისთვის

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

გასული წლის 16 ოქტომბერს სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში შემზარავი დანაშაული მოხდა. 23 წლის ახალგაზრდა კაცმა 11 წლის თანასოფლელი ბიჭი გააუპატიურა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ ბრალდებული გაასამართლა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ 16 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სვანაძე შემთხვევით ქუჩაში მიმავალ მეზობლის ბავშვს შეხვდა, რომელიც დედას სოფლის ჯიხურში სანთლის შესაძენად გაეგზავნა. სვანაძემ ქუჩაში მიმავალ ბავშვს ხელი დაავლო და იქვე გზის მახლობლად უკაცრიელ ადგილზე გადაიყვანა. მოძალადემ ბიჭი ჯერ თავისა და სახის არეში ცემა, შემდეგ ტანსაცმელი შემოახია და გააუპატიურა. როგორც სასამართლო პროცესზე ბავშვმა განაცხადა, იგი დაყვირებასა და მოძალადისაგან გაქცევას ცდილობდა, მაგრამ სვანაძე კისერში ხელს მაგრად უჭერდა და ამის საშუალებას არ აძლევდა. საბოლოოდ ბავშვმა მოძალადისაგან დასხლტომა მაინც შეძლო და გაიქცა. დასისხლიანებულმა ბავშვმა მშობლებს ყველაფერი უამბო. მომხდარისაგან აღშფოთებულ თანასოფლელებსა და სამართალდამცავებს მოძალადე ჯერ ტყეში ემალებოდა, შემდეგ კი დასახმარებლად ბიძასთან, ვანის რაიონში გაემგზავრა. მაგრამ შურისძიებას ვერც საკუთარი ბიძის ოჯახში ასცდა. სვანაძე ბიძაშვილმა ცემა და სახლიდან გამოაგდო. რამდენიმე დღეში სამტრედიის პოლიციამ ის ტყეში დააკავა. მოძალადემ თავდაპირველად დანაშაული აღიარა, ხოლო სასამართლო პროცესზე კი გაუპატიურება უარყო და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა. **"დაზარალებულის ოჯახს ჩემი შურს, მე ბევრი მსხვილფეხა საქონელი მყავს და დანაშაულს ამიტომაც მაბრალებენ,"** - აცხადებდა სასამართლო პროცესზე სვანაძე. პროცესზე სვანაძეს დანაშაული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და მეზობლების ჩვენებებითაც გამყარდა. სწორედ მეზობლებმა დაინახეს, როგორ გამორბოდა შიშველი ბავშვი და ყვირილით შველას ითხოვდა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ სვანაძის თავის მართლება არ გაიზიარა. სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ მოსამართლე ვერა დოლიძის თავმჯდომარეობით მას მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 17 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

# სვანეთი ანტიკრიმინალური ოპერაციისთვის მზად არ არის

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ სვანეთში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობს. მისი აზრით, სვანეთში სპეცოპერაციის ჩატარებამდე იქ სიტუაცია ჯერ სათანადოდ უნდა მომწიფდეს, როგორც ეს პანკისის ხეობაში მოხდა.

"მაშინ ხალხის აზრი პანკისის ხეობაში სწორედ სპეცოპერაციის ჩატარების სასარგებლოდ ჩამოყალიბდა. რეგიონში ჯარის შეყვანა დაუშვებელია, თუ იქ ამის სასარგებლოდ არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი. ამას, შესაძლოა, სისხლისღვრა და არეულობა მოჰყვეს. ჩვენი სახელმწიფო არ არის იმდენად ცენტრალიზებული, როგორიც ევროპის ქვეყნებია, სადაც რეგიონის მმართველს არავინ ეკითხება, ჩატარდეს თუ არა სპეცოპერაცია. ჩვენს შემთხვევაში ამის გათვალისწინება აუცილებელია. ხალხმა სვანეთში ჯერ უნდა დაიჯეროს, რომ მათ ყოფას ხელს კრიმინალები უშლიან და გატარებული ღონისძიებების პარალელურად, ამ რეგიონის სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა უნდა არსებობდეს," - განაცხადა მამუკა არეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ სვანეთში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო, ეროვნულმა უშიშროების საბჭომ იქ ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მესტიის რაიონის მოსახლეობას სპეციალური მიმართვა გაუგზავნა.

*მედია-ნიუსი*

# გატაცებულ უცხოელთა გამოსასყიდი იზრდება

„მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის მონაცემებით 1999 წლიდან დღემდე კოდორის ხეობაში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა გატაცების შვიდი შემთხვევა დაფიქსირდა, პანკისის ხეობაში კი სამხედრო დამკვირვებლების მძევლად აყვანის - ორი, და წითელი ჯვრის მუშაკების მოტაცების ერთი შემთხვევაა აღრიცხული.

ცენტრის ინფორმაციით, დღემდე არც ერთი დანაშაული გახსნილი არ არის. ამ ცენტრის ექსპერტების ვარაუდით, მძევალთა გამოსახსნელი თანხების საერთო რაოდენობამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში 14 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ თანხების ძირითადი ნაწილის მიმღები ადრესატები ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოსნები იყვნენ.

*მედია-ნიუსი*

# ორი "სიმართლე"

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი არმიაში საგაზაფხულო გაწვევის შედეგებით უკმაყოფილოა.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, შეიარაღებული ძალები მხოლოდ 45 პროცენტით არის დაკომპლექტებული, კონტრაქტით მომსახურეებს თუ არ ჩავთვლით.

ამავე დროს საპირისპიროს ამტკიცებენ სახელმწიფო კანცელარიაში.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის გაწვევის საკითხების საკოორდინაციო სამმართველოს უფროსის, კობა უგრეხელიძის თქმით, შეიარაღებულ ძალებში სამი თვის განმავლობაში მიმდინარე საგაზაფხულო გაწვევის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

*პრაიმ-ნიუსი*

# საპირველსექტემბრო ზავი

გუშინ, საღამოს ექვსი საათისთვის, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამართული პრესკონფერენციის შემდეგ "ნაციონალურმა მოძრაობამ" ალყა მოხსნა "ბიბლკორექტორს", საიდანაც მათი წარმომადგენლები დილის თერთმეტი საათიდან ცდილობდნენ პირველკლასელთა საჩუქარი სახელმძღვანელოების გატანას.

ქალაქის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დღის ორი საათისთვის შეთანხმებას მიაღწიეს. როგორც ვანო ზოდელავამ განაცხადა, პირველკლასელები სახელმძღვანელოებს სკოლებში მიიღებენ და საკრებულოს თავმჯდომარე და ქალაქის მერი მათ ერთად მიულოცავენ.

საკრებულომ მაკონტროლებლის ფუნქცია იკისრა და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა "ბიბლკორექტორთან" სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს, რომ კონტროლი გაუწიონ სახელმძღვანელოების განაწილების პროცესს, რათა ყველა წიგნმა მიაღწიოს ადრესატამდე.

შესაბამისად, 30 აგვისტოს რესპუბლიკის მოედანზე დაგეგმილი პირველკლასელთა "ნაციონალური" ცერემონიალი აღარ შედგება და თბილისის ყველა პირველკლასელი სახელმძღვანელოებს სკოლაში მიიღებს. ასევე, სკოლაში დახვდებათ ქართული ენის სახელმძღვანელოები მეორე და მესამე კლასის მოსწავლეებს.

*24 საათი*



*ზავის წინ.*

# მწირი არჩევანი



*შალვა ნათელაშვილი*



*ზურაბ ჟვანია*



*ფიქრია ჩიხრაძე*



*გიორგი ზურაბაშვილი*

პირველი გვერდიდან

გულისვარდ ურუშაძე (იურისტი), რუსუდან ბერიძე (ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე), ნიკოლოზ გორგიჯანიძე (თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი), იოსებ ლომიძე (კავკასიის რკინიგზა), რომან ხორავა (ყაზბეგის სასამართლოს თავმჯდომარე), ირაკლი კლდიაშვილი (სისხლის სამართლის ექსპერტი), ნინო გურიელი (ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი), ბესარიონ კილასონია (სასამართლო ექიმთა სამეცნიერო საზოგადოება), გიორგი თუმანიშვილი უფროსი (რეჟისორი), გიორგი თუმანიშვილი უმცროსი (ვერ აკმაყოფილებს ასაკობრივ ცენზს), გიორგი ზესაშვილი (ცესკო-ს თავმჯდომარე), ავთანდილ დემეტრაშვილი (იუსტიციის საბჭო), გურამ ჩაჩანიძე (აკადემიკოსი), თამარ დადიანი (ჟურნალისტი), ნატალია ზაქარეიშვილი (შრომითი დავების მარეგულირებელი სამმართველოს უფროსი), გიორგი ანდრიაძე (საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი), ტარიელ კულულაშვილი (იურისტი), თეიმურაზ ლომსაძე (სახალხო დამცველის მოადგილე), ნანა კაკაბაძე (არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის"), გიორგი იაკობაშვილი (ჟურნალისტი), დათო ტურაშვილი (მწერალი), მალხაზ რამიშვილი (ჟურნალისტი), გიორგი თარგამაძე (ჟურნალისტი), ნუგზარ კუპრეიშვილი (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები"), აკაკი სიხარულიძე (ჟურნალისტი).

როგორც უკვე ვთქვით, პარტიათა უმრავლესობა ამ ჩამონათვალით უკმაყოფილოა. გუშინ განსაკუთრებით კატეგორიული იყო ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, რომელმაც კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისთვის მხოლოდ ის ადამიანი იქნება მისაღები, რომელსაც მხარს საპატრიარქო დაუჭერს (აქედან გამომდინარე, ლეიბორისტთა ლიდერისათვის ყველაზე მისაღები საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი გიორგი ანდრიაძე უნდა იყოს). წინააღმდეგ შემთხვევაში ლეიბორისტები არც ერთ კანდიდატს მხარს არ დაუჭერენ და ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე კვლავ უცხოელის დანიშვნას მოითხოვენ. **"ცესკო-ს თავმჯდომარედ უნდა დაინიშნოს ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო მოიწონებს, ან უკიდურეს შემთხვევაში ეს უნდა იყოს უცხოეთის მოქალაქე, რომელიც არ იქნება დაკავშირებული კლანებთან, კანცელარიასთან, ოლიგარქებთან და გამყალბებლებთან",** – ამბობს ქართველ მშრომელთა ბელადი.

წარმოდგენილი კანდიდატებით "აღორძინებაც" უკმაყოფილო ჩანდა. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე დღის წინ აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელმა ასლან აბაშიძემ ღიად გამოხატა საკუთარი სიმპათიები გია ზესაშვილის მიმართ, დღეს პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ **"ამ თანამდებობაზე ღირსეული კანდიდატი უნივერსიტეტებში და სამეცნიერო წრეებში უნდა ვეძიოთ, რადგან მიუკერძოებელი და ობიექტური პიროვნების პოვნა სწორედ იქ არის შესაძლებელი".**

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ კი განაცხადა, რომ ეუთო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრისას საუბარი, ძირითადად, იმ კანდიდატების ირგლივ მიმდინარეობდა, რომლებიც პირდაპირ ასოცირდებიან ხელისუფლებასთან (ჟვანიას თქმით, ეს, პირველ რიგში, ცესკო-ს დღევანდელი თავმჯდომარეა). ამასთან, დემოკრატების ლიდერი აცხადებდა, რომ სახელისუფლებო ძალების მიზანია, შეირჩეს ისეთი პიროვნება, რომელიც პრეზიდენტის მიერ დანიშნულ ხუთ წევრს საკუთარ ხმას შესძენს და ცესკოში ხელისუფლების მეექვსე მხარდამჭერად მოგვევლინება. **"ცესკო-ს თავმჯდომარეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება უნდა შეეძლოს. ამ თანამდებობაზე არც საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ადამიანის დანიშვნა შეიძლება,"** - ასეთი იყო ჟვანიას პოზიცია. ამასთან, გუშინ ჟვანიამ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისი პარტია ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატის დასახელებას არ აპირებს.

გუშინ კანდიდატურების გვარებით იმედგაცრუებული ჩანდა "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძეც. **"რამდენიმე ისეთი კანდიდატურაა დასახელებული, რომელებსაც საზოგადოება არ იცნობს. ნამდვილად ძნელი იქნება იმის ახსნა, თუ რატომ უნდა დაინიშნონ ისინი ამ თანამდებობაზე. არიან ისეთებიც, რომელთა თაობაზე, მიუკერძოებლობის თვალსაზრისით, ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდება, პირველ რიგში, ეს ცესკო-ს ძველი შემადგენლობიდან წარმოდგენილ კანდიდატს ეხება,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ჩიხრაძემ (თუმცა, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ახლებს" მაინც აქვთ სიმპათია კონკრეტული კანდიდატისადმი. ეს, პირველ რიგში, გიორგი თარგამაძეა).

სპეციალური კომისიის წევრებს გუშინ "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ზურაბაშვილიც შეხვდა, რომელმაც მოგვიანებით "24 საათს" განუცხადა: **"ჩვენ დაინტერესებულები ვართ სამართლიანი და ობიექტური არჩევნებით. შესაბამისად, ჩვენთვის მისაღები იქნება ყველა ის კანდიდატურა, რომელსაც ეუთო-ს წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენენ".**

ერთი სიტყვით, გუშინდელმა დღემ პოლიტიკურ პროცესებში ოდნავი სიცხადეც კი ვერ შეიტანა. გადაჭრით თქმა რთულია, თუ რა შთაბეჭდილებები დარჩათ მაღალ სტუმრებს პარტიათა ლიდერებთან შეხვედრის შემდგომ, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მათი განწყობა ოპტიმისტური სულაც არ იქნებოდა.

# სარჩელი სიტყვის თავისუფლების დასაცავად

ლელა მჟედლიძე

ცესკო-ს 25 სექტემბრის დადგენილება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის არჩევნებამდე 50 დღით ადრე აკრძალვების შესახებ, დიდი ხმაურის მიზეზად იქცა. პირველი რეაგირება, როგორც მოსალოდნელი იყო, მედიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახდინეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრის, თინათინ ხიდაშელის განცხადებით, "საარჩევნო კოდექსის გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით კონსტიტუციის 73-ე მუხლიც ირღვევა".

"ახალგაზრდა იურისტთა ასოცოაციამ" ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გაპროტესტება პირველად საოლქო სასამართლოში გადაწყვიტა. დადგენილების გასაჩივრების ვადა გუშინ ამოიწურა. მარიამობის დღესასწაულის გამო გუშინ საოლქო სასამართლო არ მუშაობდა. თუმცა, გამოსავალი მაინც გამოიძებნა. "ახალგაზრდა იურისტებმა" სარჩელი სასამართლოში დაზღვეული წერილით გაგზავნეს. ამის შემდეგ უკვე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის მიიღებს წერილს სასამართლო - ერთი დღით ადრე თუ გვიან, რადგან სარჩელი უკვე ვადებში მიღებულად უნდა ჩაითვალოს. საოლქო სასამართლოს გარდა იურისტები ცესკო-ს დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოშიც აპირებენ სარჩელის შეტანას. იურისტები მხოლოდ დადგენილების გამოქვეყნებას ელოდებიან, რათა საკონსტიტუციო სასამართლოსგან კონკრეტული რიცხვით დათარიღებული, დანომრილი საკანონმდებლო აქტის გაუქმება ითხოვონ. "ახლაგაზრდა იურიტთა ასოციაციის" წევრებმა სასამართლოში სარჩელის შესატანად მინდობილობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელებისგან ითხოვეს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრის, ადვოკატ გოგი ჩხეიძის განცხადებით, სარჩელის შეტანაზე თანხმობა გამოთქვეს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მედიასუბიექტებმა.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში თემურ შაშიაშვილი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მხარს არავის დაუჭერს. მისი თქმით, არც მოსახლეობას მოუწოდებს, ვინმეს ხმა მისცენ. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრი შალვა ოგბაიძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას მისი მცხეთის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ. ოგბაიძის განცხადებით, გარკვეულ ადამიანთა ჯგუფს მისი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენა სურს, თუმცა თავად ამის წინააღმდეგია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი აცხადებს, რომ ერაყში მყოფი ქართული სამშვიდობო ასეულის 4 მესანგრე შემთხვევითი გარემოებების გამო დაშავდა და მათი ნაღმზე აფეთქების ან სადამ ჰუსეინის მომხრეთა თავდასხმის ვარიანტები გამორიცხულია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბში აცხადებენ, რომ ავღანეთში ქართველი მშვიდობისმყოფელების გაგზავნის პერსპექტივა არსებობს, მაგრამ ამისათვის აუცილებელია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება სამთავრობო დონეზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის რიგი ქვეყნების ჰუმანიტარული ტვირთები 1 სექტემბერიდან TRACECA-ს მარშრუტით ავღანეთს საქართველოს ტერიტორიის გავლით მიეწოდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პროფკავშირები სამხედრო უწყებისათვის თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე "ოფიცერთა სახლის" შენობის დაბრუნებას ითხოვენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის შს მინისტრი დილარ ხაბულიანი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე წყალტუბოს რაიონის მაჟორიტარულ ოლქში მის ყველაზე სერიოზულ კონკურენტად შს ამჟამინდელი მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის ძმას, ლაშა ნარჩემაშვილს მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენი" „მავერიკის" ტიპის პირველი თვითმფრინავის აწყობას ამთავრებს. ამჟამად ავიამშენებლები თვითმფრინავის ელექტრომოწყობილობის და მართვის სისტემების აწყობაზე მუშაობენ. საფრენოსნო გამოცდები სექტემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. ამ ტიპის მეორე თვითმფრინავს თბილისელი ავიამშენებლები დეკემბრის ბოლომდე, საახალწლოდ ააშენებენ. სამუშაოების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, „თბილავიამშენი" „მავერიკის" თვითმფრინავების სერიულ წარმოებას დაიწყებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს 22 რაიონს გუშინ, საღამოს 6 საათიდან ელექტროენერგიის მიწოდება მისი საფასურის გადაუხდელობის გამო შეუწყდა. ენერგოკომპანიის გადაწყვეტილებით, გათიშულ ფილიალებს ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ დავალიანების გადახდის შემდეგ აღუდგებათ. ამ დროისათვის ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, სენაკი, მარტვილი, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ხონი, ტყიბული, ამბროლაური, ლენტეხი, დუშეთი, თიანეთი, ახალგორი, ყაზბეგი, დმანისი, თეთრიწყარო, მანგლისი და თელეთ-მარტყოფი. გათიშვას გადაურჩა ზესტაფონი, რომელმაც გუშინწინ ელექტროენერგიის დავალიანება დაფარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მოსახლეობას მძიმე ზამთარს უწინასწარმეტყველებს და პრეზიდენტ შევარდნაძეს ქვეყანაში მოქმედი უცხოური ენერგოკომპანიების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯორბენაძის თქმით, ზამთარში ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ელექტროენერგიის მიწოდებაზე მკაცრი რეჟიმის დაწესებისა და გათიშვების პროგრამის დაწყების შემდეგ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის მხრიდან ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას და ელექტროენერგიის თვითნებურ ჩართვას. ამ მხრივ, ყველაზე რთული მდგომარეობაა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტურიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 27 სექტემბერს აღინიშნება, აზერბაიჯანში 25-26 სექტემბერს ჩატარდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონფერენცია ტურიზმში, სადაც რეგიონის ტურისტული ბიზნესის შესაძლებლობებზე, სავიზო პროცედურების შემსუბუქებასა და რეგიონული ტურისტული მარშრუტების ორგანიზებაზე იმსჯელებენ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის, თურქეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, მოლდოვისა და ალბანეთის წარმომადგენლები. დაგეგმილია თემატური გამოფენის მოწყობა. ჩატარდება ტურისტული ფილმების პირველი საერთაშორისო ფესტივალი, სადაც წარდგენილი იქნება რეჟისორ-დოკუმენტალისტების 60 კინოფილმი. მათგან საუკეთესოები პრემირებული იქნება და საერთაშორისო ტურისტულ სააგენტოებში დაიგზავნება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეოს პოლიციის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა საკუთრების დაცვის სასამსახურის - "გარანტის" თანამშრომელი ივერი ვაჭარაძე დააკავეს, რომელიც ყაჩაღობაშია ეჭვმიტანილი. 27 აგვისტოს, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში გამავალ საავტომობილო გზაზე ოთხი ბოროტმოქმედი ყაჩაღურად თავს დაესხა ქალაქ ონში მცხოვრებ მერაბ ბერელაძის ავტომანქანა "ფორდ-ტრანზიტს". თავდამსხმელებმა მას ძალადობის გამოყენებითა და მუქარით მანქანა და 180 ლარი წაართვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების ქალთა დაწესებულება დღეს სამთავრობო ბლოკის ახალგაზრდულმა ფრთამ მოინახულა. მათ მსჯავრდებულ ქალებს მარიამობის დღესასწაული მიულოცეს. საპატრიარქოს წარმომადგენელმა, მამა იაკობის ლოცვა-კურთხევით სამლოცველოს მარიამ ღვთისმშობლის ხატი გადასცა, ასევე საჩუქრები - გამაგრილებელი სასმელი "კოკა-კოლა", ნაყინი და ხილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის №3 საპყრობილეში „სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის" ორგანიზაციის პრეზიდენტის გიორგი ლაღიძის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, აჭარის სასჯელაღსრულების ეს დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ლაღიძის თქმით, საპყრობილეში ორი ფსიქიკურად დაავადებული მსჯავრდებული იმყოფება, რაზეც ექიმის შესაბამისი ცნობა არსებობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გუშინ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისელ პენსიონერებს სექტემბრიდან "სახალხო ბანკი" მოემსახურება. ეს გადაწყვეტილება ქუთაისის მერმა ნუგზარ ფალიანმა უკვე მიიღო. გუშინ იგი "სახალხო ბანკის" გენერალურ დირექტორს გიორგი გოგუაძეს შეხვდა. პენსიონერთა მომსახურება პლასტიკური ბარათების გამოყენებით მოხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში თემურ შაშიაშვილმა, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, გუშინ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში საზოგადოებას ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილის აღნიშვნის პროგრამა წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებით,დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და საბავშო ბაღებში ახალი სასწავლო წლისათვის ფირმა "ლაზი-ფირმ-კავკასია" სასკოლო ინვენტარს სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით დაამუშავებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს რეგიონებში ბავშვთა კონტიგენტში რკინადეფიციტურ მდგომარეობათა გამოვლენისათვის ჩატარებული კვლევისას დადგინდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ანემიამ 5,7-ჯერ, ხოლო რკინადეფიციტურმა ანემიამ 4,2-ჯერ იმატა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კერძო სახლში შეხიზნული, მარტვილის რაიონის სოფელ ნალეფსაოს ერთადერთი, საბაზო სკოლა, რომლის 1998 წელს ხანძრის შედეგად დაიწვა, მძიმე მდგომარეობაშია. სამი წელია პირველკლასელებს სკოლაში ვეღარ იღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სკოლას დახურვა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჰონკონგის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს 24 პაციენტი, რომლებსაც მაღალი სიცხე, ხველება და ატიპური პნევმონიის სხვა სიმპტომები აღენიშნებათ, თუმცა ჰონკონგის ჯანდაცვის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ლაბორატორიული გამოკვლევისას, ატიპური პნევმონიის გამომწვევი კორონავირუსი მათ არ აღმოაჩნდათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მოსახლეობას მძიმე ზამთარს უწინასწარმეტყველებს და პრეზიდენტ შევარდნაძეს ქვეყანაში მოქმედი უცხოური ენერგოკომპანიების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯორბენაძის თქმით, ზამთარში ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკვირაო ხელოვნების სკოლების ქსელი, შესაძლოა, გაფართოვდეს და 10-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბაზაზე ამოქმედდეს. დღეს ხელოვნების სკოლებში 200-ზე მეტი სოციალურად დაუცველი მოსწავლე უფასოდ ეუფლება ხელოვნების სხვადასხვა დარგს. ქსელს ახალი პროგრამაც შემუშავებული აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები წლეულს დაფინანსებულია 34,5 მილიონი ლარით, მაშინ როცა 6 თვის ბიუჯეტის გეგმა 38 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. ყველაზე დიდი გარღვევა მოსახლეობის ამბულატორიული პროგრამის დაფინანსებაშია. **მედია-ნიუსი**

# "დეპუტატების დირექტორის" საჩუქრები

პირველი გვერდიდან

ნინო ბურჯანაძემ მათ სადღესასწაულო საჩუქრები მიუტანა - ხილით სავსე კალათების, ნამცხვრების და სხვა ტკბილეულის გარდა ბიჭებს საფეხბურთო ფორმები და ბურთი გადაეცათ, პრანჭია გოგონები კი ამიერიდან საკუთარი კოსმეტიკით ისარგებლებენ.

"მომავლის სახლის" შენობა გაურემონტებელია, თუმცა მზრუნველი ხელი მაინც ეტყობა. გაბზარული კედლები მიწისძვრამ კიდევ უფრო დააზიანა. ბიჭებმა გოგონებს ნაკლებად დაბზარული, საუკეთესო ოთახები ჯენტლმენურად დაუთმეს.

ზოგიერთ ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემებიც აქვს. გუშინდელმა სტუმრებმა მათი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება თავის თავზე აიღეს. ამ საქმეს გიგი წერეთელი უხელმძღვანელებს.

**"გპირდებით, რომ ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნები. მჯერა, რომ თქვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეები უკვე განვლილია, არ უნდა დაკარგოთ მომავლის იმედი და მერწმუნეთ, ცხოვრებაში ბევრს მიაღწევთ,"** – პარლამენტის თავმჯდომარე ბავშვებს დიდხანს ესაუბრა და მცირედი საჩუქრებისთვის ბოდიში მოუხადა.

**"ნინო ბურჯანაძე ტელევიზორზე უფრო ლამაზი დღესაა. ჩემი დედა არ მახსოვს. როგორი წარმომიდგენია? ლელა წურწუმიას ან ნინო ბურჯანაძისნაირი,"** – იცინის პატარა სოფო და ახლადნაჩუქარი ტუჩის საცხით მონდომებით იფერადებს ტუჩებს. ბავშვებმა სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილეს. გუშინ მათ ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ, ყველა თავის საჩუქარს უკირკიტებდა. სტუმრის მოსვლა აქ მართლაც უჩვეულოდ უხარიათ.

ნინო ბურჯანაძის მიერ ნაჩუქარი ხილით გუშინ პირი "კომანდოს" ბატალიონის წევრებმაც ჩაიტკბარუნეს. ბავშთა სახლიდან პარლამენტის თავმჯდომარე პირდაპირ ვაზიანის სამხედრო ბაზისკენ გაეშურა და ქართველ ჯარისკაცებს მარიამობის დღესასწაული მიულოცა. ხილის გარდა პარლამენტის თავმჯდომარისგან ჯარისკაცებს ტელევიზორი და რადიომიმღებები გადაეცათ.



პარლამენტის თავმჯდომარეს „კომანდოსები" მხედრული სალამით შეხვდნენ.

# გავყაროთ ქართველები - აცხადებს ჟირინოვსკი

პირველი გვერდიდან

**- წინასაარჩევნოდ თქვენი ერთ-ერთი ლოზუნგია "რუსეთი რუსებისათვის". როგორ გავიგოთ, ხომ არ არის ეს სხვა ერების დისკრიმინაცია?**

- საქართველოში რუსულმა ბატალიონმა, ჩვენმა ბიჭებმა მოიყვანეს ხელისუფლებაში შევარდნაძე. ჩვენ ხომ ვიცოდით, ის რა ხვითოც იყო? იქ ელემენტარულად შეიძლებოდა პრორუსული რეჟიმის მოყვანა. ჩვენ კი ამის ნაცვლად ანტირუსული რეჟიმი დავამყარეთ. თანაც ამ რეჟიმს გაზს, ელექტროენერგიას ნისიად ვაძლევთ. ჩვენ მოსახლეობას ტყავს ვაძრობთ, ქართველები კი კაპიკებს იხდიან. ის ქართველები, ვინც ბანდიტებს აფარებენ ხელს, ამერიკელებს ბანენ ფეხებს. ამიტომ ჩვენი უპირველესი მიზანია საქართველოსთან საზღვრის ჩაკეტვა.

შემოვუშვით რუსეთში მილიონი ქართველი. მარტო აზერბაიჯანიდან 2 მილიონია შემოსული. რუსებს ვაჭრობის საშუალებას არ აძლევენ, თავხედურად იქცევიან. ქრთამებს აძლევენ ჩინოვნიკებს და არხეინად ცხოვრობენ. მილიარდობით დოლარები გააქვთ აქედან. გვიშველა სავიზო რეჟიმმა საქართველოსთან? არ გვიშველა. ქართველები, როგორც ცხოვრობდნენ მოსკოვში, ისევე ცხოვრობენ. მარტო მოსკოვში 700 ათასი ქართველია. უნდა გავუშვათ უკან და უვიზოდ აღარ შემოვუშვათ. ჩვენს ელჩს თბილისში კი ვუთხრათ, რომ ვიზები 2-3 წლის მანძილზე აღარ გასცეს. გადაწყდება ყველა პრობლემა. ჩვენ ეროვნული პრინციპით არავის დისკრიმინაციას არ ვეწევით. მე იურისტი ვარ, აღმოსავლეთის სპეციალისტი და კარგად ვიცი, რომ, თუ რუსეთში ავკრძალავთ არარუსების ვაჭრობას, მათ ბიზნესს, ყველა წავა აქედან. მაგრამ მოსკოვის მაფიას ამის გაკეთება არ უნდა.




ჟირინოვსკის ახლა მეფეები ელანდება.

# "თბილგაზი" პატრონს ელის

პირველი გვერდიდან

**კოროზიისგან დამცავი კათოდური სადგურები მოუხსნა. სანამ მათ თავიდან არ დაამონტაჟებენ, მილების გამოცვლა საბიუჯეტო სახსრების ტყუილად ხარჯვაა და მეტი არაფერი."**

მიუხედავად ამ შეფასებებისა, სათბობ-ენერგეტიკული სექტორის კურატორები მიმდინარე სამუშაოებით ამაყობენ და გაზის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის გულისწყრომას "გარემონტებული" მომავლის იმედით იგერიებენ. **"ამ თვის ბოლოსთვის ორი მონაკვეთი დამთავრდება – სანაპიროზე და ელბაქიძის ხიდთან. 3-4 სექტემბრისთვის უკვე იქნება შესაძლებლობა, მუშაობა ვაკე-საბურთალოსა და მთაწმინდაზე დაიწყოს. ამჟამად გაზი არ მიეწოდება მხოლოდ ცენტრს – ვაკე-საბურთალოს, ისანს, ნაძალადევის რაიონის ნაწილსა და მთაწმინდას,"** – გვაცნობა "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ თენგიზ არშილავამ.

არსებობს მოსაზრება, რომ გაზის გამორთვა დაკავშირებულია ქალაქის მუნიციპალიტეტის პოლიტიკასთან, რაც შეიძლება, ნაკლები ვალი აჰკიდონ "თბილგაზს". "ახალი მენეჯმენტისთვის" გადაცემის წინ ხომ ამ ვალების საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

"თბილგაზისთვის" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა ამხანაგობამ "ახალი მენეჯმენტი", რომელიც გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტ ალეკო გოცირიძის სახელთან ასოცირდება, უკვე დიდი ხანია, ქალაქის მთავრობასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თავისი ვარიანტი წარმოადგინა, რომლის თანახმადაც დედაქალაქის გაზმომარაგების ქსელი "ახალ მენეჯმენტს" უნდა გადაეცეს.

ხელშეკრულების პროექტი საკრებულოს ფრაქციებმა უკვე განიხილეს. ამჟამად დოკუმენტს სათბობ-ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროები ეცნობიან.

ძირითადი საკითხი, რაც ჯერჯერობით შეუთანხმებელი რჩება, "თბილგაზის" ძველი ვალების ჩამოწერაა. "ახალ მენეჯმენტს" არ სურს, აიღოს პასუხისმგებლობა მათ გასტუმრებაზე, ცენტრალურ ხელისუფლებას კი არ სურს, ეს ვალები "თბილგაზს", უბრალოდ, ჩამოაწეროს. საქმე ისაა, რომ "თბილგაზის" გასაცემად გამოცხადებული ტენდერის პირობებში, რომელშიც "ახალმა მენეჯმენტმა" გაიმარჯვა, ამ ვალების ჩამოწერაზე საუბარი არ ყოფილა. კომპანიამ ეს თემა მოგვიანებით – უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმების წინ წამოწია. სულ, ეს თანხა 70 მილიონ ლარს შეადგენს, საიდანაც 22 მილიონი გაზის მომწოდებლისთვის - "იტერასათვის" არის გადასახდელი.

შეგახსენებთ, რომ სამი ძირითადი სატენდერო პრიორიტეტი "ახალმა მენეჯმენტმა" თითქმის უპრობლემოდ დააკმაყოფილა. გაზით უწყვეტი მომარაგების გარანტია ამხანაგობას თავისმა "მამობილმა" – გაზის საერთაშორისო კორპორაციამ მისცა, გაზმომარაგების ქსელის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების პრობლემა კი, "ინჟმშენის" ხელით, საბიუჯეტო სახსრებით მოიხსნა. ყოველ შემთხვევაში, "ახალი მენეჯმენტის" შესვლისათვის, ეს სამუშაოები უკვე დასრულებული იქნება. თანაც, სანამ "ინჟმშენი" სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ მორჩება, დედაქალაქის გაზმომარაგების სრული სქემა არ აღდგება და, შესაბამისად, "იტერასადმი" "თბილგაზის" დავალიანებაც შედარებით ნელი ტემპით მოიმატებს.

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ დედაქალაქის გაზმომარაგების საკითხი, ჯერჯერობით, ჰაერშია გამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში უკვე ჩანს, რომ მანამდე, სანამ "იტერას" "გაზპრომით" ჩანაცვლების საკითხს ხელისუფლება საბოლოოდ არ გაარკვევს, "თბილგაზი" "ახალ მენეჯმენტს" არ გადაეცემა; ხოლო მანამდე, სანამ "თბილგაზი" პატრონს არ იპოვის, მოსახლეობის გაზმომარაგების პრობლემას გადაწყვეტა არ უწერია.

# ქუთაისში პენსიებს წინსწრებით დაარიგებენ

ბექა სისაური
ქუთაისიდან

მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, ქუთაისის მერიის ყველაზე სუსტ წერტილად კვლავ ხელფასებისა და პენსიის გაცემა, ასევე, შუქისა და წყლის რეგულარულად მიწოდება რჩება. დღე არ გავა, რომ მერიის წინ, გაუცემელი პენსიის მოთხოვნით, მოსახლეობა არ შეიკრიბოს და მიტინგი არ გამართოს. ასეთ ფონზე ქუთაისის თვითმმართველობას **"საქართველოს სახალხო ბანკმა",** რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო, თორემ მოახლოებული ზამთრის ფონზე, აღნიშნულ პრობლემებზე მოსახლეობის რეაქცია გაცილებით მწვავე იქნებოდა.

საქმე ის არის, რომ ბანკი ქუთაისელებს პენსიით უზრუნველყოფას შეუფერხებლად ჰპირდება, თანაც - წინსწრებით. **"ქუთაისში პენსიების დროულად გაცემას "სახალხო ბანკი" იღებს თავის თავზე. იგი გარანტირებულად ყოველი თვის ხუთიდან ათ რიცხვამდე მთლიანად დაფარავს საპენსიო დავალიანებას. ეს ყოველივე პენსიონერისთვის სრულიად უფასო იქნება ანუ ის ზუსტად 14 ლარს მიიღებს,"** - განაცხადა ქუთაისის მერმა ნუგზარ ფალიანმა პენსიონერებთან და ქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეებთან შეხვედრისას.

ამჟამად ქუთაისში პენსია აპრილიდან არ მიუღიათ. სახალხო ბანკის თავმჯდომარის გიორგი გოგუაძის განმარტებით, ისინი ჯერ აღნიშნულ ჩამორჩენას დაფარავენ, ხოლო შემდეგ კი ყოველი თვის პენსიას - თვის დასაწყისშივე, წინასწარ. **"ჩვენი ბანკი საპენსიო მომსახურებას, უკვე მეორე წელია, ეწევა. დღეისათვის სულ 160 000 პენსიონერს ვემსახურებით, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით პირველად ქუთაისში დავიწყეთ ექსპერიმენტი, რომლის მიხედვითაც, პენსიონერებს პლასტიკური ბარათები მიეცემათ. მას ჩვენ "სახალხო ბარათი" ვუწოდეთ. პენსიონერებს ყოველი თვის დასაწყისში მიმდინარე პენსია დაერიცხებათ. ჩვენ შევეცადეთ, რომ ბარათები ყოფილიყო მარტივი და იოლად გამოსაყენებელი. აღნიშნული ბარათებით შესაძლებელი იქნება როგორც პენსიების მიღება, ასევე მცირე სესხების გამოტანაც,"** - განაცხადა გოგუაძემ. მისი განმარტებით, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ბარათებით კომუნალური გადასახადის დაფარვაც შესაძლებელი იქნება. მომავალში კი მასწავლებლების ხელფასების გაცემაზეც აპირებენ პასუხისმგებლობის აღებას, რის შემდეგაც ისინიც წინსწრებით მიიღებენ ხელფასს. "სახალხო ბარათებით" სარგებლობა მოსახერხებელი იქნება იმ პენსონერებისთვისაც, ვინც სხვა ქალაქში მცხოვრებ შვილებთან ხშირად სტუმრობს. ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ბარათის მეშვეობით კუთვნილი პენსიის აღება საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში იქნება შესაძლებელი. იმისათვის, რომ პენსიონერმა "სახალო ბანკის" პლასტიკური ბარათით მიიღოს პენსია, საჭიროა საპენსიო ფონდში შესაბამისი განცხდება დაწეროს. საგულისხმოა ისიც, რომ ბანკი მომსახურების პროცენტს საპენსიო ფონდს ახდევინებს და არა პენსიონერს. ქუთაისელ პენსიონერებს განსაკუთრებით გაყინული პენსიების პრობლემა აღელვებდათ. გოგუაძის განმარტებით, თუკი სახელმწიფო მის ბანკს შესაბამის გარანტიებს მისცემს, იგი მზადაა, გაყინული პენსიებიც გასცეს. ამჟამად ქალაქში სახალხო ბანკის მხოლოდ ორი ფილიალია, უახლოეს ხანში მათი რიცხვის რვამდე გაზრდას აპირებენ.

პენსიების გარდა "სახალხო ბანკმა" ქუთაისის მერიას 10 კომპიუტერი (პენტიუმ 4) აჩუქა. ამავე დროს, ქალთა კალათბურთის გუნდის სპონსორობაც იკისრა, აღნიშნული გუნდი საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია, მაგრამ ბოლო ხანს უსახსრობის გამო თითქმის დაშლის პირასაა. როგორც ბანკის ხელმძღვანელობა, ასევე ქუთაისის მერი ირწმუნება, რომ აღნიშნულ ღონისძიებებს არჩევნებთან და პოლიტიკასთან არავითარი საერთო არა აქვს.

# ძველი ამბავი ახალი ინტერპრეტაციით



სახელმწიფოსთვის მთავარი დედა და ჩვილია.

*სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ტენდერის შედეგები, რომელიც მეანობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამშობიარო სახლების შერჩევას ითვალისწინებდა, ელვისებური სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. არადა ამ შემთხვევაში ახალი და მოულოდნელი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, არჩევნები ახალი წელივითაა, როცა პარტიებს თოვლის ბაბუასავით მოაქვთ ხოლმე "საჩუქრები".*

ზაზა ფაჩუაშვილი

საქმე ისაა, რომ სადაზღვევო კომპანიამ თავის პარტნიორად მხოლოდ სამი დაწესებულება აირჩია და სახელმწიფო პროგრამის შესრულება მათ მიანდო. ესენია "ჩაჩავას ინსტიტუტი", მეოთხე სამშობიარო (ე.წ. რეზუსუარყოფითი) და ახლადგახსნილი ეროვნული სამედიცინო ცენტრი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა პოლისიანი ორსული ამ სამ დაწესებულებაში იმშობიარებს და სახელმწიფო დაფინანსებასაც ისინი მიიღებენ. ამის გამო, ცხადია, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ სხვა სამშობიარო სახლები, რომელთაც მათივე ხელმძღვანელობის ვარაუდით გაკოტრება ემუქრებათ; მაგრამ პროცესები რომ ასე განვითარდებოდა და არა სხვანაირად, ეს ჯერ კიდევ ჯორბენაძის ჯანდაცვის მინისტრობის დროს იყო ცნობილი.

სახელმწიფოს ხარჯზე მშობიარობა უფასო გახდა 1996 წელს. მაშინ ამ ფაქტით ოფიციოზი ძალიან ამაყობდა, მაგრამ სიხარული მხოლოდ ექვსთვიანი აღმოჩნდა, ვინაიდან პროგრამაში ყველა დაწესებულება მონაწილეობდა და თანხების გაკონტროლება შეუძლებელი შეიქნა. სად რა იხარჯებოდა, კაცმა არ იცოდა. მთელი წლის სამყოფი ფული სამშობიაროებმა ნახევარ წელიწადში აითვისეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მაშინდელი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში "დაფიქსირდა" 60-70 პროცენტი პათოლოგიური მშობიარობა, რომელშიც სახელმწიფო გაცილებით მეტ თანხას იხდიდა, ვიდრე ფიზიოლოგიურში. შედეგად - წლის მეორე ნახევარში მშობიარობა ჩვეულებრივად ფასიანი იყო და სახელმწიფოს არაფრის გაკეთება შეეძლო. ასეთი ვითარება და გამოსავლის ძიება ხუთი წლის განმავლობაში გაგრძელდა. საბოლოოდ ჯანდაცვის სამინისტრო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეანობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამშობიაროების რიცხვი მინიმუმამდე შეემცირებინა. ამის დეკლარირება რამოდენიმე წლის განმავლობაში ხდებოდა და ახალი არავისთვის იყო.

დაიწყო ტენდერები და 2001 წელს 9 სამშობიაროდან 5 შეარჩიეს. 2002 წელს – ოთხი, 2003 წელს კი – სამი; მაგრამ თამაშგარე დარჩენილი სამშობიაროებიდან დღემდე ხმა არავის ამოუღია, თუმცა ხალხის ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე გაკოტრების საშიშროება მაშინ უფრო მძაფრი უნდა ყოფილიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წლებში იხსნება თბილისში და სხვა რეგიონებშიც კერძო სამშობიარო სახლები, რომლებიც დღემდე წარმატებით მუშაობენ.

წელს კი ოპოზიციისათვის ჩვეული ხმაური ატყდა და რადიკალურად ცნობილმა პარტიებმა სოლიდარობა გამოუცხადეს დაჩაგრულ მეანებს. პრესკონფერენციებზე ბევრი ისაუბრეს ტენდერის არაობიექტურობაზე, თუმცა შერჩევისას მომსახურების ხარისხთან ერთად, ერთი მარტივი პრინციპიც მოქმედებდა - ტერიტორიული მდებარეობა. ერთი სამშობიარო ცენტრში, ორი – ქალაქის მოპირდაპირე გარეუბნებში. თანაც სახელმწიფოს მიაჩნია, რომ შერჩეული კლინიკებიდან, მართლაც, საუკეთესო პირობებია.

ცხადია, შეზღუდვის რეალურ მიზეზებზე, რაც თანხების გაკონტროლებასა და რეალურად უფასო მშობიარობის უზრუნველყოფას უკავშირდება ოპოზიცია არ საუბრობს და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, სახელმწიფოს სამშობიაროების ხელოვნური გაკოტრება და შემდეგ მათი შენობების სარფიანად გაყიდვა სურსო.

სამშობიაროს მთავარი ექიმები კი პრობლემის მოგვარების შემდეგ ვარიანტს ლობირებენ – არავითარი ტენდერი. სახელმწიფომ მშობიარეს ხელზე მისცეს ფული და მან, სადაც უნდა იქ იმშობიაროსო.

ერთი შეხედვით კარგი გამოსავალია, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროში ასე არ ფიქრობენ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ვასიკო ჭეიშვილის განცხადებით, ტენდერი და სპეციალისტების მიერ საუკეთესო სამშობიაროების შერჩევა სწორედ იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს და დააფინანსოს მშობიარეთა უსაფრთხო და უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება.

"ტენდერის არაობიექტურობაზე მე კომენტარს არ გავაკეთებ, ვინაიდან მის სამართლიანობაში შეუძლია დარწმუნდეს ყველას, ვინც კი შესაბამის დოკუმენტაციას გამოითხოვს. ეს დოკუმენტები გამჭვირვალეა.

რატომ ხდება ეს პრობლემატური და რატომ ერევიან ამ საქმეში პოლიტიკური პარტიები, ვერ ვხვდები. ორი წელია ეს პროცესი მიმდინარეობს. შარშან საგრძნობი ეფექტიც მოგვცა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნებისმიერი საკითხის პოლიტიკური ანგაჟირება შეიძლება," – ამბობს ვასიკო ჭეიშვილი.

# ჩიყვი და კანონი

საქართველოში ენდემიური ჩიყვის გავრცელებას ჯანდაცვის სამინისტრო საგანგაშოს უწოდებს და მიაჩნია, რომ დაავადების აღმოსაფხვრელად სასწრაფოდ სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს.

სამინისტროს მონაცემებით, ენდემიური ჩიყვი დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 43,5%-ს აღენიშნება, მათ შორის ბავშვების 38%-ს. აქედან გამომდინარე მძიმე ენდემიურ კერებში ბავშვებში ინტელექტუალური დონის დაქვეითების საგანგაშო ტენდენცია შეიმჩნევა - აცხადებენ სამინისტროში. მათი ინფორმაციით, გახშირდა ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებები. ყოველი ახალშობილი, რომელიც იბადება ენდემიურ კერებში, ინტელექტუალური განვითარებით ჩამორჩება თანატოლებს.

სტატისტიკური მონაცემებით, ენდემიური ჩიყვი უფრო ხშირად მაღალმთიან რეგიონებში - აჭარა, მესტია, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გვხვდება. ამ უკანასკნელ რეგიონში კი იგი 60%-ს აღწევს, იმ დროს, როცა ზესტაფონში - 26%-ია.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ საჭიროა, ქვეყანაში სასწრაფოდ მოხდეს საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომლის ძალით არაიოდიზირებული მარილის შემოტანა, გაყიდვა და გავრცელება აიკრძალება, ან იოდიზირებული მარილის მიწოდება მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდება. ამასთანავე, სამინისტროში გადაწყვეტილი აქვთ იმპორტული იოდიზირებული მარილის ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

აღნიშნული პრობლემის დროულად მოსაგვარებლად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, კიდევ ერთი კანონპროექტია მომზადებული – "საქართველოს მოსახლეობაში იოდის ნაკლებობით გამოწვეულ დაავადებათა შემცირების დამატებითი ღონისძიებების შესახებ".

*ინტერ-პრესი*

# "ბლექსიფორი-2003" ფოთში

ფოთის პორტი სამხედრო სწავლებას "ბლექსიფორი-2003" მასპინძლობს. შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის პროგრამის ("ბლექსიფორი") ფარგლებში, ფოთის საზღვაო ნავსადგურს რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის სამხედრო ხომალდები ეწვევიან.

პროგრამის პირველ ეტაპზე "ბლექსიფორისა" და ქართული ("წყალტუბო", "ახმეტა" და "ქუთაისი") ხომალდები შეთანხმების წერტილში შეხვდებიან. გარდა ამისა ბულგარეთიდან დაბრუნდება ქართული ხომალდი "პორტი-302 თბილისი", რომელიც ფოთის პორტიდან 31 ივლისს გავიდა.

შემდეგ ეტაპზე კავშირის მეშვეობით ხომალდების მოქმედების კოორდინაცია განხორციელდება, დასკვნით ეტაპზე კი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ერთობლივი საზღვაო სწავლება ჩატარდება. გაიმართება მანევრები ზღვაზე, ჰუმანიტარული, სამშვიდობო და სამაშველო ოპერაციები. `ბლექსიფორის" ქვეყნების ხომალდების სარდალი, მეთაურები და შტაბის უფროსი საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალების სარდლობას შეხვდებიან. 31 აგვისტოს კი ჩატარდება ერთობლივი ალლუმი, რის შემდეგაც "ბლექსიფორის" ხომალდები ფოთის ნავსადგურს დატოვებენ.

*ინტერ-პრესი*

# ერაყის ომი კარტოფილი „ფრის" ფონზე

თამარ ბაბუაძე

ერთ დღეს შარლ დე გოლი საუდის არაბეთის მეფეს აბდელ აზიზ ალ-საუდს ელოდა. პრეზიდენტის სასახლის მთავარმა მზარეულმა გადაწყვიტა, სტუმარს ჩაშუშული კალმახით გამასპინძლებოდა და კერძი ლანგუსტის კუდებით შეეზავებინა. ვიზიტამდე მხოლოდ ორი დღეღა იყო დარჩენილი, როცა გაარკვია, რომ წელიწადის იმ დროს ლანგუსტს ვერსად იშოვიდნენ, მთელი საფარნგეთიც რომ გადაექექათ. საბედნიეროდ, სამზარეულოში ვიღაცამ გაიხსენა, რომ ლანგუსტი გამოულევლად თურქებს ჰქონდათ. მერე უკვე ყველაფერი სწრაფად მოხდა. ზარი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ზარი ანკარაში – საელჩოში და უკვე მეორე დღეს პარიზის აეროპორტის საბაჟოზე უცნაური სურნელების მქონე დიპლომატიური გზავნილი გაატარეს. თუმცა, მყრალ არომატს და ნერვიულობას უკვე აღარავინ დაეძებდა. მთავარი იყო, რომ საფრანგეთის ღირსება ისე გადაარჩინეს, შარლ დე გოლს ინციდენტის შესახებ არაფერი გაუგია...

ამ და ასეთივე საინტერესო ისტორიებს ჟოელ ნორმანი ჰყვება, კაცი, რომელიც 35 წელია, საფრაგენთის პრეზიდენტის სასახლეში, ღუმელს უტრიალებს, უგემრიელეს კერძებს ამზადებს და პრეზიდენტის კულინარული გემოვნება ზეპირად იცის. პრობლემა ის არის, რომ ნორმანის მსგავსი ადამიანები ამ საინტერესო ისტორიებს იშვიათად ჰყვებიან, უმალ კონსპირაციულ იერს იღებენ და შეთქმული სახით ამბობენ, არა, სხვას ვერაფერს გეტყვით, რადგან პრეზიდენტის დღიური რაციონი ისევე გასაიდუმლოებულია, როგორც სახელმწიფო საქმეები.

თუმცა, რაღაცეების გარკვევა მაინც ხერხდება ხოლმე. ბოლოს ჟურნალისტებმა სახელმწიფო ლიდერების მთავარი მზარეულები ხელთ პარიზში, სასტუმრო Athenee-ში ჩაიგდეს. შაბათ-კვირას იქ მზარეულთა მთელმა ელიტამ მოიყარა თავი, უფრო ზუსტად კი იმ სპეციალისტებმა, რომლებიც სახელმწიფო ლიდერების მზარეულთა საერთაშორისო კლუბში არიან გაწევრიანებულნი. მათ ამ ელიტარულ, სულ 40-კაციან კლუბში ახალი წევრი – მარკ ფლენეგენი მიიღეს. მარკი დედოფალი ელისაბედის ახალი მზარეულია. მანამდე ბუკინგემის სასახლეში





ეს კერძები პრეზიდენტის ვახშამზე მოხვდება



მთელი 42 წლის განმავლობაში კულინარიას ლაიონელ მენი განაგებდა. ახლა 20 რიგით მზარეულს ფლენეგენი ხელმძღვანელობს. ისინი ყოველდღიურად თითქმის ხუთას ადამიანს ემსახურებიან.

ფლენეგენის დაჯილდოების ცერემონიალს ბრუნეის, აშშ-ს, კანადის, ჩინეთის, საბერძნეთის, ინდოეთის, იტალიის, ესპანეთის, სკანდიავიური ქვეყნების, სამხრეთ აფრიკის, შრი ლანკასა და ტაილანდის მთავარი მზარეულები დაესწრნენ.

"მოდით, ვიყოთ გულახდილები. მსოფლიო ლიდერებს შორის ბევრი მაღალი დონის შეხვედრა ჩატარებულა დაძაბულად და მათ დამეგობრებაში დიდი როლი ყოველთვის კარგ სადილს უთამაშია", - განაცხადა ცერემონიალზე ჟილ ბრაგარმა, რომელმაც 1977 წელს ეს გემრიელი კლუბი დააარსა. ფლენეგენმა კი კითხვას – სასახლის სამზარეულოში მუშაობას, რატომ საკუთარი რესტორანი არ გახსენიო, ასე უპასუხა: "მე უბრალო მზარეული ვარ და მეტი არაფერი. თანაც ინგლისელი კაცისთვის არ არსებობს უფრო დიდი პატივი, ვიდრე დედოფლისთვის სადილის მომზადებაა. რაც შეეხება დედოფლის მენიუს, ჩვენთან წლების განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ბუკინგემის სასახლის დღიური რაციონი ასე შეიძლება განისაზღვროს – კლასიკური ფრანგული და ტრადიციული ინგლისური".

შეხვედრას კიდევ რამდენიმე ევროპელი მონარქის მზარეული ესწრებოდა. მონაკოს პრინცი ალბერტის შეფ-მზარეულმა ჟილ ბრუნერმა კი ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, რომ ხშირად სამზარეულოში თავად პრინციც ფუსფუსებს. ალბერტს თურმე უყვარს, როცა პირადი სტუმრებისთვის რამე ეგზოტიკურს ამზადებს. თუმცა, კულინარიულ ექსპერიმენტებს, ბუნებრივია, თავისი ერთგული მზარეულის თანხლებით ატარებს.

რაც არ უნდა საკვირველი იყოს (როგორც წესი, სახელმწიფო ლიდერებს თავისივეეროვნების შეფ-მზარეული ჰყავთ), დანიის სამეფო ოჯახს კერძებს იაპონელი ტაკეში კონდო უმზადებს. თუმცა, კონდო ზემდეტად სიტყვაძუნწია და ჟურნალისტებს იმასაც კი არ უმხელს, როგორ უზავებს ერთმანეთს დანიურ და იაპონურ კულინარიულ ტრადიციებს.

სახელმწიფო ლიდერების მზარეულთა კლუბის წევრებს არა მარტო პირის დახვეწილ გემოზე აქვთ პრეტენზია. მათ ჰგონიათ, რომ პრეზიდენტებისთვის მომზადებული კერძებით ხშირად მსოფლიოსთვის კეთილდღეობა და მშვიდობა მოაქვთ. ამ აზრს გამოხატავს კლუბის ლოგოც – გლობუსის გარშემო მოფარფატე თეთრი მტრედები და მზარეულის თეთრი ქუდები, და კლუბის დევიზიც – "პოლიტიკა ადამიანებს აჩხუბებს, კარგი კერძი კი აახლოებს მათ".

თუმცა, ბუნებრივია, მზარეულების დევიზი ყოველთვის არ შეეფერება სიმართლეს. მაგალითად, ჯორჯ ბუშსაც, ტონი ბლერსაც და ხოსე მარია აზნარსაც მზარეულები წინა თებერვალში მშვენიერ კერძებს უმზადებდნენ, მაგრამ ერაყში ომი მათ მაინც წამოიწყეს. ანუ, მსოფლიოში მშვიდობის დაცვისკენ და ჰუსეინის სიყვარულისკენ გზამ მათ კუჭებზე ნამდვილად არ გაიარა. სამაგიეროდ, მოხდა ერთი საინტერესო დამთხვევა: იმავე თებერვალში, მარტსა და აპრილში, როდესაც ამერიკა-საფრანგეთს შორის უპრეცედენტო დიპლომატიური კრიზისი სუფევდა, ჯორჯ ბუში განსაკუთრებული სიამოვნებით ფრანგულად შემწვარ კარტოფილს მიირთმევდა... ერთი სიტყვით, ხდებოდა რაღაც მსგავსი – ერაყის ომი და დიპლომატიური დავა საფრანგეთთან ფრანგული კარტოფილის ფონზე...

საერთოდ კი, ჯორჯ ბუშის თეთრ სახლში თურმე მენიუს პირველი ლედი ადგენს. "თუ ჰამბურგერი უნდათ, ცხადია, ჰამბურგერს ვამზადებთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჰამბურგერშიც კი მთელ პროფესიონალიზმს ვაქსოვთ", - განმარტავს უოლტერ შაიბი, თეთრი სახლის მთავარი მზარეული.

რაც შეეხება №1 შეფ-მზარეულთა კლუბს, პოლიტიკური სუბორდინაცია ქვეყნებს შორის იქაც ისევეა დაცული, როგორც დიდ პოლიტიკაში – კლუბს თეთრი სახლის მთავარი მზარეული მართავს – ანუ, მზარეულებსაც ამერიკელი შეფი ჰყავთ ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, აშშ-ში ითავსებს №1 სუპერ-სახელმწიფოს სტატუსს.

კლუბის წევრები ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში იკრიბებიან. შარშან ისინი ტაილანდს სტუმრობდნენ. როგორც თავად ამბობენ, ერთამენთთან ხშირად ტელეფონითაც კონტაქტობენ, რათა ოფიციალური ვიზიტების დროს მენიუს შედგენისას სტუმარი პრეზიდენტის გემოვნებაც გაითვალისწინონ.

"მაღალ კულინარიაში" არის კიდევ ერთი დაუწერელი კანონი: დიპლომატიური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით მენიუში არასდროს შეაქვთ ღორის ხორცი და სოუსის მომზადების დროს არც ალკოჰოლს იყენებენ.

დაბოლოს, ყველაზე ენაწყლიან და ყველაზე გამოცდილ (შარლ დე გოლიდან ჟაკ შირაკამდე) ფრანგ შეფ-მზარეულს მოვუსმინოთ. მან პრეზიდენტის სასახლეში გატარებული წლების შესახებ მემუარებიც დაწერა "მეხუთე რესპუბლიკა სამზარეულოს ღუმელთან". სწორედ ეს კაცი იხსენებს, რომ ხშირად პოლიტიკური მოვლენების მნიშვნელობას "საჭმლის გავლით" გრძნობდა. ერთი ასეთი შემთხვევა 1968 წლის მაისში, მასობრივი სტუდენტური დემონსტაციების დროს მოხდა. მაშინ ყველას ეგონა, რომ ამ გამოსვლებით მეორე ფრანგული რევოლუცია დაიწყებოდა და აი, 10 მაისს სამზარეულოში მოფუსფუსე ნორმანს პრეზიდენტმა დე გოლმა თითქმის ხელუხლებლად დაუბრუნა უკან კამბალას ფილე, პროვანსული ქათამი და გემრიელი ფუნთუშა – ის ნერვიულობდა და ვერ ჭამდა...

ისე კი, როგორც ნორმანი იხსენებს, შარლ დე გოლი უპრეტენზიო მჭამელი იყო. ხშირად არც გაციებულ კარტოფილის პიურესა და ძეხვზე ამბობდა უარს (ეს კი ხშირად ხდებოდა, რადგან სამზარეულოდან პრეზიდენტის პირად სასადილო ოთახამდე მზარეულს 100 იარდი მაინც უნდა გაევლო).

გაცილებით უფრო მომთხოვნი კაცი ყოფილა ჟორჟ პომპიდუ. მას ტრადიციული ფრანგული სამზარეულო ჰყვარებია. დიდი გურმანი ფრანსუა მიტერანი კი უფრო შორსაც წასულა და საკუთარი მზარეული დაუქირავებია – განსაკუთრებული პირის გემოსთვის. ნორმანის ახლანდელი შეფი, ჟაკ შირაკი კი უფრო ლიბერალურია. "მას ყველაფერი მოსწონს – ლოკოკინებიც, მოლუსკებიც, ცხვარიც, სისხლიანი ძეხვიცა და ყველის ომლეტიც"...

ასე რომ, იმედია, მზარეულები მომავალშიც შეასრულებენ დიპლომატიურ მისიას და მსოფლიოს ერთი ომისგან მაინც გადაარჩენენ.

# ზეციერი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ამა წლის 22 ივლისს ზეციერის მშობლების ბინაში სატელეფონო ზარი გაისმა. მისი ცოლი ემილი რეკავდა, ექიმი-ფსიქიატრი.

- ზელი თქვენთანაა? - ჰკითხა მან ზეციერის მამას, 88 წლის ირვინგს.

- არა, არ არის, - იყო პასუხი.

ყურმილის ორივე მხარეს შემაშფოთებელი სიჩუმე ჩამოწვა. ზეციერის მშობლებიც და ცოლიც ავბედითმა წინათგრძნობამ შეიპყრო. ეს წინათგრძნობა ახდა კიდეც ფილადელფიის ერთ-ერთ საავადმყოფოში, ალბერტ აინშტაინის სამედიცინო ცენტრში. ქირურგებმა ზეციერს თირკმელი ამოუღეს და მისი ორგანო გადაუნერგეს ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ის არ იცნობდა და არც არასოდეს ენახა. ამ ქალს დონელ რიდი ერქვა.

უკვე ოპერაციის შემდეგ, ასე ვთქვათ, პოსტ-ფაქტუმ, ზეციერმა ეშმაკურად ჩაიღიმა და თქვა:

- იძულებული გავხდი გამოვპარულიყავი. მეშინოდა, ჩემს მშობლებს რამე ფოკუსი არ ჩაეტარებინათ, საავადმყოფოს სასამართლო პროცესით არ დამუქრებოდნენ ან რაღაც ამის მსგავსი არ მოემოქმედათ.

- უნდოდათ და იპოვეს სარეკლამო ბიჭი! ჩემი შვილის სიკეთე ბოროტად გამოიყენეს! - ბობოქრობდა ზეციერის დედა, 77 წლის რიდა.

ქირურგი რეიდი ზეიკი, რომელმაც თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია გააკეთა, ამტკიცებს, რომ რამდენჯერმე სცადა ზეციერის გადარწმუნება.

- ჩვენ ის არ გვიძებნია და არც გამოვკიდებივართ. თვითონ მოვიდა ჩვენთან და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დონორობა, - ამბობს ქირურგი.

ზეციერის ჟესტი იშვიათი მოვლენა იყო. აშშ-ში უცნობი რეციპიენტისთვის თირკმელი მხოლოდ 134 დონორს აქვს გაღებული (ათვლა 1998 წლიდან იწყება. ეს არის ორგანოების გაცვლის ამერიკული ასოციაციის მონაცემები). ზეციერის მეგობრები და ნათესავები ტრანსპლანტაციის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. ცოლი მას განქორწინებით ემუქრებოდა და მამის წინააღმდეგ ოთხივე შვილი განაწყო.

ეს დრამატული შემთხვევა რომ არა, ზეციერის ალტრუიზმი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დარჩებოდა. ის არ ესწრაფოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვედრას, მაგრამ ახლა ამ ყურადღებით კმაყოფილია.

- ვინანიებ, პატივმოყვარეობის ცოდვას ვერ ავცდი, - ამბობს იგი, - მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი იყო თირკმლის დონორთა რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით, აფრო-ამერიკელი დონორებისა, ეს იმიტომ, რომ ჩვენს შორის კულტურული ბარიერები აღმოიფხვრას.

ზეციერი თეთრკანიანია, რეციპიენტი დონელ რიდი - შავკანიანი.

ზეციერი აღიარებს, რომ ის მზადაა დაარღვიოს ფედერალური კანონი და ფინანსური დახმარება გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებიც მის კვალს დაადგებიან და საკუთარ თირკმელს უცნობი ადამიანისთვის გაიღებენ მსხვერპლად.

- არავის არ უნდა ჰქონდეს აგარაკი, სანამ ყველას სახლი არ ექნება, არავის არ უნდა ჰქონდეს მეორე ავტომობილი, სანამ სხვები ერთს არ შეიძენენ, და არავის არ უნდა ჰქონდეს ორი თირკმელი, როცა სხვებს ერთიც არა აქვთ, - აცხადებს ზეციერი.

კანონიკური ზეციერისაგან განსხვავებით, ეს ზეციერი ძალიან მდიდარია, თუმცა ცხოვრობს უბრალო სახლში, რომელიც 1996 წელს 141 ათას დოლარად იყიდა ჯენკინთაუნში, ფილადელფიის გარეუბანში. ის პროფესორი იყო, აღორძინების ხანის ლიტერატურაში კითხულობდა ლექციებს, ფული დააგროვა და რამდენიმე სახლი იყიდა პენსილვანიის უნივერსიტეტის სიახლოვეს. დადგა დრო, როცა ზეციერს სიმდიდრე სიმძიმედ დააწვა და ამ სიმდიდრის გაცემა დაიწყო. ჯერ 15 მილიონი დოლარი შესწირა ეპიდემიურ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს, მცირეწლოვანი ინვალიდების სკოლას და ოჰაიოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფაკულტეტს. ამავე დროს მან უნივერსიტეტს დამატებით 300 მილიონი დოლარი გადასცა. ზეციერი თქმით, მან მხოლოდ გარკვეული თანხა გადადო შვილების განათლებისთვის, ქონების დანარჩენ ნაწილს კი დაარიგებს.

- მან იმდენი რამ გააკეთა ხალხისთვის, რომ სულაც არ იყო აუცილებელი თირკმელიც შეეწირა, - ამბობს მისი მამა.



ტრანსპლანტაცია

მაგრამ თავად ზეციერი ასე არ ფიქრობს. ის მეორე თირკმლის მსხვერპლად გაღებასაც აპირებს, ანუ მზადაა სიცოცხლე შესწიროს. აი, რა განაცხადა მან "ნიუ იორკ ტაიმსის" კორესპონდენტთან - სტეფანი სტროსთან საუბარში.

- ვინ იცის, იქნებ თირკმელი ისეთ ადამიანს დასჭირდეს, რომელიც ჩემზე მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას? ვინ იცის, იქნებ მე აბსოლუტურად შესაფერისი დონორი აღმოვჩნდე სიკვდილის პირას მყოფი მკვლევარისათვის, რომლის გარეშეც კიბოს ან შიდსის დამარცხება შეუძლებელია, ან მეცნიერისათვის, რომელმაც სულ მალე უჯრედების რეგენერაციის საიდუმლოს უნდა ახადოს ფარდა? ასეთ ადამიანს ჩემი უკანასკნელი თირკმელი რომ არ მივცე, ხომ ვიქნები ნამდვილი ნაგავი? წარმოიდგინეთ, მას მილიონობით ადამიანის გადარჩენა შეუძლია, მე კი ამის გაკეთება არ ძალმიძს...

სტეფანი სტრო წერს, რომ ზეციერის (ეს მე მოვნათლე ამგვარად და არა ჟურნალისტმა) ალტრუიზმი შეშლილობის ზღვარზეა მისული და მასთან საუბარი "დამაბნეველ შეშფოთებას" იწვევს. სანამ ზეციერს საოპერაციო მაგიდაზე დააწვენდნენ, ექიმებმა მას არაერთი ფსიქიატრიული ტესტი ჩაუტარეს. გასაგებიცაა. ჩვენს დროში, ეგოისტურ და ულმობელ ეპოქაში, როცა ზეციერი ხარ, თითქმის გიჟი ხარ. "დამაბნეველ შეშფოთებას" იწვევს ის გარემოება, რომ ასეთ ადამიანებთან შეხვედრის დროს ინსტინქტურად ვგრძნობთ (გონებით კი არა, სხეულით) ჩვენს ადამიანურ არასრულყოფილებას, იმას, რომ ის მასალა, რისგანაც ჩვენ ვართ შექმნილი, წუნია. ამას ბარი კატციც ადასტურებს, ზეციერის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი. "მასთან შეხვედრისას ადამიანები დანაშაულის გრძნობას განიცდიან; ცუდი კაცი არ უნდა ვიყო, ქველმოქმედებასაც ვეწევი და, მგონი, გულუხვიც ვარ. მაგრამ, მეორეს მხრივ, როდესაც მის ნამოქმედარს ვუყურებ, რაღაც გამკივანი ხმა ჩამძახის: რა გააკეთე ამ ბოლო დროს? რატომ არ გადაარჩინე არცერთი ადამიანის სიცოცხლე?" ეს გრძნობა ჩემთვის ძალიან გასაგებია. მეც ვეწევი ქველმოქმედებას, ბრმა ბავშვებს ვეხმარები, და მეც ჩამესმის ხოლმე სინდისის გამკივანი ხმა: ამას იმიტომ ხომ არ ვაკეთებ, რომ ცოდვებისგან განვიწმინდო?

ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა. ზეციერს ორი მეგობარი დაელუპა იმის გამო, რომ მათთვის თირკმლის დონორები ვერ მოძებნეს. როგორც ჩანს, ეს იყო ბიძგი მისი გადაწყვეტილებისთვის.

ზეციერის დედ-მამა ფიქრობს, რომ მან თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა.

- შენ შეგიძლია, მსხვერპლად გაიღო ფული, დრო, მაგრამ სხეულის ნაწილები - ეს სულ სხვაა, - ამბობს დედა, - სხეული ნაწილებს, ალბათ, მხოლოდ ყველაზე ახლობლებისთვის თუ გაიღებ, და ესეც უდიდესი მსხვერპლი იქნება. თუმცა, ამ შემთხვევაში ამ მსხვერპლს გამართლება მაინც აქვს. მაგრამ ის, რასაც ჩემი ვაჟი აკეთებს, ჩემთვის გაუგებარია, მე არ მომწონს მისი საქციელი.

ამაზე ზეციერი ასე უპასუხებს:

- გადაწყვეტილების მიღების დროს ვმოქმედებ პრინციპით - "მაქსიმალური სარგებელი ადამიანებისათვის". ჩემი ცხოვრება სრულებითაც არაა სხვა ადამიანთა ცხოვრებაზე უფრო ძვირფასი.

მისი თქმით, ერთადერთი "ღირსეული არგუმენტი", რაც შეიძლება მის საქციელს დაუპირისპირდეს, ასეთია: მან თირკმელი უცნობ ადამიანს მისცა, მაგრამ, ვაიდა, მომავალში თირკმელი მის შვილს დასჭირდეს? სწორედ ამას ეუბნებოდნენ ცოლიც და მშობლებიც, როდესაც ცდილობდნენ, მისთვის გადაწყვეტილება გადაეთქმევინებინათ. მაგრამ ემოციებს ის ალბათობის თეორიას უპირისპირებდა!

- ამაზე დიდხანს ვფიქრობდი და ასეთ დასკვნამდე მივედი: ტრაგედიის შემთხვევაში ჩემი შვილები თავად შეძლებენ ერთმანეთისთვის თირკმლის გაღებას, შეუთავსებლობის შემთხვევაში კი მე შევძლებ ამის გაკეთებას, მაგრამ ჩემი შვილების ჯანმრთელობის ალბათობა ვერ გადაწონის ჩემი რეციპიენტის სიცოცხლის გადარჩენის ფაქტს. რა თქმა უნდა, მიყვარს ჩემი შვილები. განა შეიძლება ამაში ეჭვი შეიტანოთ? მაგრამ, უბრალოდ, არ შემიძლია ვთქვა, რომ მათი სიცოცხლე სხვა ადამიანების სიცოცხლეზე ძვირფასია.

მთლად დარწმუნებული არაა იმაში, რომ შვილებმა გაუგეს მამას, მით უმეტეს, რომ დედა ყველანაირად ცდილობდა ეს ამბავი ბავშვებისთვის დაემალა.

კორესპონდენტთან საუბარში ზეციერის ცოლს არ გაუცია პასუხი კითხვაზე, თუ როგორ აისახა მისი ქმრის დონორობა მის ოჯახსა და ცოლქმრულ ცხოვრებაზე. როგორც აღნიშნა, მხოლოდ იმის გამო დათანხმდა ჟურნალისტთან შეხვედრაზე, რომ მისი ქმრის მიმბაძველებმა (და ასეთი ალტრუისტული დონორები, შესაძლოა, ამ შემთხვევის შემდეგ გამოჩნდნენ) იცოდნენ, თუ რა შეძლება მოჰყვეს ასეთ ნაბიჯებს. ჟურნალ New England Journal of Medicine-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მან განაცხადა, რომ არსებული დონორების დაახლოებით ნახევარი საკუთარ ორგანოებს სიკვდილის შემდეგ გასცემდა ანდერძის საფუძველზე. დონორობის სისტემა ცუდად არის ორგანიზებული, - განაცხადა მან, - პრინციპში მე არა ვარ ალტრუისტული დონორობის წინააღმდეგი, მაგრამ რატომ უნდა დავაყენოთ საფრთხეში ცოცხალი ადამიანების სიცოცხლე, არ ჯობია, გარდაცვლილთა ორგანოებით ვისარგებლოთ? ტრანსპლანტატორებმა კი გადაწყვეტილების მიღების დროს ალტრუისტი დონორების ოჯახის წევრების აზრიც უნდა გაითვალისწინონ..."

ზეციერს ზელ კრავინსკი ჰქვია. ის 48 წლისაა. ზეციერი "კონსპირაციის მიზნით" ვუწოდე. სინამდვილეში ის ზეცის მკვიდრი არაა, ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზე. მიწის ნაკვეთებითა და სხვა უძრავი ქონებით ვაჭრობით დიდძალი ქონება ტყუილუბრალოდ არ შეუგროვებია; მაგრამ ზელი არც ფილანთროპია, არც ალტრუისტი, არც დონ კიხოტი, არც თავადი მიშკინი. ის დიდი ადამიანია. და სხვებისგან ძალიან განსხვავდება. მის გვერდით ადამიანები თავს უხერხულად და არაკომფორტულად გრძნობენ. ამიტომ სურვილიც კი გვიჩნდება, მას გიჟის პერანგი ჩავაცვათ და გისოსებს მიღმა დავამწყვდიოთ შეურაცხადივით. სხვათა შორის, სწორედ ასე ექცევიან ზეციერთა უმრავლესობას. ასეთი ადამიანები მრავლად იყვნენ საბჭოთა გულაგებში და ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. ისინი, გორკის დანკოს მსგავსად, კაცობრიობას სთავაზობდნენ საკუთარ გულებს ტრანსპლანტაციისათვის. მაგრამ კაციობრიობა შუნტირებისთვისაც კი არ იყო მზად. და მზად არც ახლაა...

როდესაც "ენ-კა-ვე-დემ" სტალინს ბორის პასტერნაკის დაპატიმრებაზე სანქცია სთხოვა, ბელადმა, როგორც ამბობენ, იუარა; "ხელი არ ახლოთ ზეციერსო!" - უთქვამს. ზეციერმა პოეტმა ბელადს შავი უმადურობით უპასუხა, "დოქტორი ჟივაგო" დაწერა. ზეციერებმა ჩამოხსნეს კრემლიდან წითელი დროშა და დაანგრიეს ბერლინის კედელი. ზელი სხვა სოციალურ გარემოში მოქმედებს, მას თავისი ბერლინის კედელი და თავისი დროშა აქვს, წითელი კი არა - მწვანე. ზელი ინდივიდუალისტურ საზოგადოებას საყოველთაო სიყვარულის საზოგადოებას უპირისპირებს და ისე ისვრის დოლარებს, როგორც პროლეტარიატი - იარაღს. მის გარშემო ამერიკელები თავს ისევე უხერხულად გრძნობენ, ჩვენ სახაროვისა და სოლჟენიცინის გვერდით.

დიალიზს, რომელსაც კაცობრიობა ექვემდებარება, არ ძალუძს განწმიდნოს მისი ორგანიზმი დაგროვილი უწმინდურობისგან. აქ ისეთი რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო, როგორიც ზელ კრავინსკის თირკმლის გადანერგვაა...

## ორი სიტყვით

### დათხოვნილმა მუშამ ექვსი თანამშრომელი მოკლა

სამსახურიდან დათხოვნილმა მუშამ გუშინ ექვსი ყოფილი თანამშრომელი მოკლა. 36 წლის სალვადორ ტაპია ჩიკაგოს ავტონაწილების საწყობში მუშაობდა მანამ, სანამ შარიანობისათვის და სამსახურში ხშირი დაგვიანებისათვის ექვსი თვის წინ არ გააგდეს. გუშინ იგი ყოფილ სამსახურში დაბრუნდა და თანამშრომლებს სროლა აუტეხა. ექვსი კაცი ადგილზევე გარდაიცვალა. საბოლოოდ, ტაპია, რომელმაც დანებების მოთხოვნას უარით უპასუხა, პოლიციელებმა მოკლეს.

ტაპია ადრეც ყოფილა დაპატიმრებული იარაღის ტარებისა და ოჯახური ძალადობისათვის.

თანამშრომლების დახოცვა, მართალია, არც ისე გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ დროდადრო ხდება ხოლმე. ერთი კვირის წინ ოჰაიოს შტატში ავტოქარხნის მუშამ, სანამ თავს მოიკლავდა, ერთი თანამშრომელი მოკლა და ორი დაჭრა.

2000 წელს ინტერნეტ-კომპანიის თანამშრომელმა მასაჩუსეტსში შვიდი კოლეგა ამოხოცა. ერთი წლით ადრე შვიდი კაცი მოკლეს ჰავაის ქსეროქსის ქარხანაში

### სიფრთხილე თუ პარანოია?

11 სექტემბრისა და შემდგომი ტერაქტების შემდეგ, ბევრმა ქვეყანამ თავისი მოქალაქეები გააფრთხილა, ზოგიერთ სახელმწიფოებში მოგზაურობისაგან თავი შეეკავებინათ. სახიფათო ქვეყნებად, ძირითადად, არაბეთის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის ქვეყნები გამოცხადდა.

გუშინ ავსტრალიამ სახიფათო ქვეყნების სიაში გერმანია და საბერძნეთიც შეიყვანა. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გავრცელებული წერილი ავსტრალიელებს მოუწოდებს, ამ ქვეყნებში მოგზაურობის დროს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ და საკუთარ უსაფრთხოებაზე მუდმივად იზრუნონ. საბერძნეთში ტურისტები სექსუალურ მოძალადეებსა და ჯიბის ქურდებს უნდა უფრთხილდნენ, ისევე როგორც მომიტინგეებს, რომლებიც ხანდახან აგრესიულნი ხდებიან. რაც შეეხება გერმანიას, იქ ავსტრალიელები, პირველ რიგში, ტერორისტებს უნდა ერიდონ.

# ერაყში ამერიკელებს ცისფერ მუზარადებს დაახურავენ?



ამერიკელებმა, შესაძლოა, ერაყის ქალაქების დაცვა სხვა ქვეყნების ჯარებს გადააბარონ.

REUTERS

შოთა უტიაშვილი

ბოლო ხანს ამერიკელების საქმეები ერაყში არც ისე კარგად მიდის. იმედი, რომ დროთა განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობა დამყარდებოდა და პენტაგონი ჯარისკაცების შინ დაბრუნებას შეძლებდა, ხოლო დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენის ხარჯები ერაყულივე ნავთობის გაყიდვით დაიფარებოდა, არ გამართლდა.

ომის დასრულების შემდეგ ერაყში მინიმუმ 64 ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს. მოხდა რამდენიმე მსხვილი ტერაქტი, რომელთა სამიზნეები ჯერ იორდანიის საელჩო, შემდეგ კი გაერო-ს წარმომადგენლობა იყო. ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტი მინიმალურია და საბოტაჟისა და დივერსიების გამო ისიც ხშირად წყდება. გუშინ ერაყის "გენერალ-გუბერნატორმა" ბრემერმა განაცხადა, რომ ქვეყნის აღდგენას ათეულობით მილიარდი დოლარი დასჭირდება. მისი თქმით, მხოლოდ წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციას 16 მილიარდი დოლარი სჭირდება. სხვადასხვა გათვლებით, რეკონსტრუქციის საერთო ხარჯებმა შეიძლება, 90 მილიარდ დოლარს მიაღწიოს.

ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად ამერიკელები ერაყში გაერო-ს როლის გაზრდას მიიჩნევენ. როგორც სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილემ, რიჩარდ არმიტიჯმა განაცხადა, ამერიკელ ჯარისკაცებს, შესაძლოა, ცისფერი მუზარადები დაახურონ და გაერო-ს სამშვიდობო ძალების სტატუსი მიანიჭონ. სამაგიეროდ, ამერიკელებს მოუწევთ, ძალაუფლება სხვებსაც გაუნაწილონ. თუმცა, ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვს, რომ სამშვიდობო ძალებს აუცილებლად ამერიკელმა გენერალმა უხელმძღვანელოს.

იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო ოპერაცია გაერო-ს ეგიდით ჩატარდება, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, პაკისტანი და საფრანგეთი, მასში მონაწილეობას მიიღებენ. ეს კი ამერიკელებს საშუალებას მისცემს, ერაყის ქალაქების დაცვა სხვა ქვეყნების ჯარებს გადააბაროს და თვითონ შეიარაღებული პარტიზანების წინააღმდეგ იმოქმედოს.

ამ იდეაზე ამერიკული დიპლომატია, უკვე კარგა ხანია, მუშაობს. ერთი კვირის წინ პაუელი ამ თემაზე კოფი ანანს ესაუბრებოდა. საბოლოო გადაწყვეტილება სამშვიდობო ჯარების გაგზავნის შესახებ უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს, სადაც საფრანგეთი და რუსეთი ამერიკასთან ვაჭრობისათვის უკვე ემზადებიან.

არმიტიჯის თქმით, ერაყში გაერო-ს როლის გაზრდის მეორე ვარიანტიც განიხილება, რომლის მიხედვითაც, სამხედრო ფუნქციები კვლავაც ამერიკას დარჩება, სამოქალაქოს კი გაერო-ს ადმინისტრატორები მიხედავენ.

ამერიკის საკმაოდ კონსერვატიულ მთავრობაში გაერო-სათვის მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭებას ბევრი არ უჭერს მხარს. თუმცა, მათ მიერ შემოთავაზებული ვარიანტი კიდევ უფრო არაპოპულარულია. კერძოდ, სენატორები მაკ-კეინი და ბაიდენი ერაყში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაზრდას მოითხოვენ. მაგრამ ეს იდეა არჩევნების წინ პოლიტიკურად არამომგებიანია. ისევე, როგორც ფინანსურად. ოკუპაცია თვეში 4 მილიარდი დოლარი ჯდება (აღდგენის ხარჯები ამაში, ბუნებრივია, არ შედის). ამერიკის ბიუჯეტისთვის, რომლის დეფიციტიც წელს 450 მილიონი დოლარია, ხოლო მომავალ წელს ნახევარ ტრილიონს მიაღწევს, ოკუპაცია საკმაოდ მძიმე ხარჯად აწვება.

როგორც ჩანს, ვაშინგტონს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, მაგრამ იმათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი კარგადაა და არაფრის შეცვლა საჭირო არ არის, ყოველ ტერაქტთან ერთად კლებულობს.

## ბლერი დაკითხეს

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ინგლისს ომში მონაწილეობა ამ დოსიეს გამო არ მიუღია.

მისი თქმით, კელის დასახელება ბი-ბი-სი-ს წყაროდ ქვეყანაში დამკვიდრებული პროცედურების შესაბამისად მოხდა. თანაც, აშკარა იყო, რომ პრესა მის სახელს აუცილებლად შეიტყობდა.

ბლერის დაკითხვა ორსაათნახევარი გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში სასამართლოს შესასვლელთან მას ასამდე პაციფისტი უცდიდა ლოზუნგებით "ბლერი მატყუარა".

ბოლოდროინდელი გამოკითხვები ცხადყოფს, რომ დოსიესთან დაკავშირებული სკანდალისა და ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ვერპოვნის გამო ბრიტანელთა 60 პროცენტზე მეტი მთავრობასა და პრემიერს მატყუარად მიიჩნევს.

## კომუნისტური პარტია უკვდავია

"ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?" - ამ კითხვით მიმართა მოსახლეობას რუსეთის ყველაზე ავტორიტეტულმა სოციოლოგიურმა სამსახურმა "ვციომ".

ყველაზე მეტი მხარდამჭერი (20 პროცენტი) ჰყავდა კომუნისტურ პარტიას. მეორე ადგილზე სახელისუფლებო პარტია "ერთიანი რუსეთი" გავიდა (18 პროცენტი), მესამე კი რუსეთის "ეროვნული თავისებურება" - ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია იყო (8 პროცენტი). თანაბარი რაოდენობით მხარდამჭერები ჰყავთ "იაბლოკოსა" და მემარჯვენეებს (5 პროცენტი, დუმაში მოსახვედრად სწორედ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვაა საჭირო).

საკუთარ პარტიაზე გაცილებით უფრო პოპულარულია პრეზიდენტი პუტინი. მას ამომრჩეველთა 52 პროცენტი მისცემდა ხმას. მას სერიოზული კონკურენტი არც ჰყავს. მეორე ადგილზეა ზიუგანოვი, რომელსაც მხოლოდ 7 პროცენტი უჭერს მხარს. მესამე ადგილზე სამი პროცენტით ვლადიმირ ჟირინოვსკი გავიდა.

პუტინისა და მისი პარტიის რეიტინგებში არსებულ უზარმაზარ განსხვავებას კარგად ხსნის სოციოლოგების მიერ დასმული კიდევ ორი კითხვა: ვისი დამსახურებაა ხელფასებისა და პენსიების ზრდა და ვისი ბრალია ბოლო დროს კომუნალური მომსახურების გაძვირება?. პირველ კითხვაზე მოსახლეობის 57 პროცენტმა უპასუხა, რომ შემოსავლების ზრდა პუტინის დამსახურებაა, მეორე კითხვაზე კი 48 პროცენტმა უპასუხა, რომ ფასების ზრდა მთავრობის ბრალია.

რასაც არ უნდა ფიქრობდეთ პრეზიდენტ პუტინზე ამ გამოკითხვის შედეგებით საზოგადოებრივი ურთიერთობების დარგში იგი ნამდვილ გენიოსად გამოიყურება.

## პეკინში მოლაპარაკება გრძელდება

პეკინში მიმდინარე ექვსმხრივი მოლაპარაკებების მეორე დღე განსაკუთრებული შედეგების გარეშე დასრულდა. "აშკარაა, რომ მხარეთა მოსაზრებებს შორის სერიოზული განსხვავებები არსებობს. თავიდანვე პესიმისტურად ვუყურებდი ორიოდე დღეში ამ განსხვავებების დაძლევის შესაძლებლობას. ჩემი ეჭვები გამართლდა," – განაცხადა მოლაპარაკებების მეორე დღის შემდეგ იაპონიის წარმომადგენელმა.

მოლაპარაკებებს, რომლებზეც მხარეები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისის გადაჭრას ცდილობენ, ხსენებული ქვეყნების გარდა, ჩინეთის, რუსეთის, ამერიკისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები ესწრებიან.

უფრო ოპტიმისტური იყო ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელიც მან თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა მხარე ადასტურებს თავის სურვილს, კორეის ნახევარკუნძული ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად დარჩეს.

მოლაპარაკებები დღეს საღამოს დასრულდება. რუსეთის წარმომადგენლის თქმით, სავარაუდოდ, მხარეები შეხვედრის მეორე რაუნდის გამართვის შესახებ შეთანხმებას შეძლებენ. მოსალოდნელია, რომ ექვსი სახელმწიფო ოქტომბერში ისევ პეკინში გააგრძელებს საუბარს.

# სიკვდილის ქარავნები

ლევან ღირსიაშვილი



ანტიტერორისტული კამპანიის რეალური სურათის ერთი მხარე.

REUTERS

ერაყში ომის დაწყების მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთ არგუმენტს ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციისათვის შესაძლო პრობლემები წარმოადგენდა. მართალია, თეთრი სახლი ამას კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ ავღანეთში რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის, ეს გასულმა კვირამაც დაადასტურა, როდესაც დამხობილი რეჟიმის “თალიბანის” მებრძოლებსა და აშშ-ს სამხედრო ქვედანაყოფებს შორის სისხლისმღვრელი მასშტაბური ბრძოლები გაიმართა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თეთრი სახლის და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება, ძირითადად, ერაყზეა გადატანილი. ეს კი ავღანეთში ორი ურთიერთდაკავშირებული მოვლენის განვითარებას უწყობს ხელს: პირველი, “თალიბანის” და “ალ-ქაიდას” რაზმებს ეძლევათ გადაჯგუფების და ძალების მოკრების საშუალება და მეორე, ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება და მისი ტრანსპორტირება კვლავ ძველებურ მასშტაბებს უტოლდება. ეს კი ტერორიზმზე არანაკლებ გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს. წელს ავღანეთიდან დაძრული, ოპიუმით დატვირთული სიკვდილის ქარავნები ევრაზიის დასავლეთ ნაწილს წალეკვით ემუქრებიან.

### ˝დამარცხებული˝ ტერორისტები ანუ ანტიტერორისტული კამპანიის დღევანდელი შედეგი

ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს თუ დავაკვირდებით, ნათლად შევამჩნევთ, რომ “თალიბანმა” და “ალ-ქაიდამ” არა მარტო შეინარჩუნეს თავიანთი ორგანიზაციის ბირთვი, არამედ ძალთა გადაჯგუფებაც და გადახალისებაც კი მოახერხეს. ავღანეთ-პაკისტანის მთიანი და მიუვალი რაიონები ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. როგორც ჰამიდ კარზაის ადმინისტრაცია, ასევე კოალიციის სარდლობაც ღიად აღიარებენ, რომ ტერორისტთა ძალები კი არ განადგურდნენ, არამედ მხოლოდ გაიფანტნენ. სხვანაირად ამას, შესაძლოა, გადაჯგუფებაც დავარქვათ, რადგან “ალ-ქაიდას” და “თალიბანის” მებრძოლები მთიან რაიონებში არიან განლაგებულები და ამერიკელებზე და კოალიციის სხვა ჯარისკაცებზე თავდასხმებს იქიდან ახორციელებენ. ავღანეთში რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ამას თეთრი სახლი ირწმუნება, ისიც მოწმობს, რომ ნომერ პირველ ტერორისტად აღიარებული ოსამა ბინ ლადენი და მისი უახლოესი თანამებრძოლი და “თალიბანის” ლიდერი მოლა ომარი, კვლავ ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან და უპრობლემოდ გადაადგილდებიან. ამას თავად ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იუნუს კანუნი ადასტურებს. მოლა ომარი და ოსამა ბინ ლადენი პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე მუდმივად გადაადგილდებიან და ადგილსამყოფელს პერმანენტულად იცვლიან. ეს რეგიონი კი არცთუ პატარა მონაკვეთია. მისი სიგრძე 2,5 ათასი კილომეტრს აღემატება და სულ მთიან და კლდოვან რაიონებზე გადის. ამ პერიმეტრზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, დაახლოებით, ორ მილიონ ადამიანს შეადგენს. მათ შორის და თანაც ასეთ პირობებში, ორი, თუნდაც ჩვეულებრივი ადამიანის მოძებნა კი ძალიან რთულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ორი პიროვნება არც თუ მთლად ჩვეულებრივები არიან, შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით მათი პოვნა შეუძლებელია.

ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი უფრო შორსაც მიდის. მისი თქმით, “ალ-ქაიდას” მებრძოლთა რაოდენობა ავღანეთის ტერიტორიაზე 12 ათასს აღწევდა. მათგან სამი ათასამდე მებრძოლი ანტიტერორისტული ოპერაციის დროს განადგურდა. დანარჩენთა მობილიზება და გადაჯგუფება “ალ-ქაიდას” ხელმძღვანელობამ წარმატებით მოახერხა. ამას ბოლო ორ წელიწადში არც თუ მცირე რაოდენობით მნიშვნელოვანი ტერაქტების ორგანიზება მოწმობს. რაც შეეხება თალიბებს, მათი რიცხვი 2001 წლის ანტიტერორისტულ კამპანიამდე 50 ათასი მებრძოლით განისაზღვრებოდა. მათი უმრავლესობა დღემდე ცოცხალი და ბრძოლისუნარიანია. ექსპერტთა მტკიცებით, თალიბებმა, უბრალოდ, წვერი სუფთად გაიპარსეს და პუშტუნების ტომებს შეერივნენ, რომლებიც დირანდის მთაგრეხილის ორივე მხარეს - ავღანეთის და პაკისტანის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. **“ჩვენ არ დავმარცხებულვართ. ჩვენ ვარჩიეთ, რომ დაგვეთმო ხელისუფლება, ვიდრე გვებრძოლა და სისხლი დაგვეღვარა. ჩვენი ხალხის ნაწილი თავის ტომებს დაუბრუნდა, ნაწილმა კი ქვეყანა დატოვა. ამჟამად, ჩვენ, უბრალოდ, ვიცდით... საჭირო მომენტში ჩვენ დავბრუნდებით,”** - ეს სიტყვები ”თალიბანის” ლიდერს მოლა ომარს ეკუთვნის.

“ალ-ქაიდა” და “თალიბანი” რომ კვლავ ფორმაშია, ამას საფრანგეთის სპეცსამსახურებიც ადასტურებენ. მათი მონაცემებით, “ალ-ქაიდას” ტერორისტებმა არა მარტო შეინარჩუნეს ბრძოლისუნარიანობა, არამედ პაკისტანის და საუდის არაბეთის სპეცსამსახურთა დახმარებით, ახლო აღმოსავლეთში დიდი ძალების გადასროლაც კი შეძლეს.

აი, ასეთია 2001 წელს ავღანეთში დაწყებული საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის რეალური სურათის ერთი მხარე.

### ნარკობიზნესი - ტერორიზმის კვების წყარო

საერთაშორისო ტერორიზმის ფინანსების ძირითად წყაროს რომ ნარკობიზნესი წარმოადგენს, ამაზე დღეს უკვე აღარ დავობენ. როგორც ცნობილია, “თალიბების” ავღანეთი საერთაშორისო საზოგადოების მიერ სამართლიანად ითვლებოდა მსოფლიოს ტერორიზმის ბუდედ, სადაც 21-ე საუკუნის “რაინდები” ოპიუმის პლანტაციებიდან მიღებული დოლარებით იკვებებოდნენ. 2000 წელს ავღანეთში ნარკოტიკების წარმოებამ არნახულ რაოდენობას მიაღწია. ევროპისაკენ შუა აზიის, რუსეთის და კავკასიის გავლით კოლოსალური რაოდენობის ნარკოპარტიებით დატვირთული სიკვდილის ქარავნების სვლა არ წყდებოდა. “თალიბების” და “ალ-ქაიდას” მოგებაც შესაბამისი იყო. სხვადასხვა შეფასებებით ამ შემოსავალმა 1999-2000 წლებში 27 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა.

მართალია, 2000 წლის ბოლოს ”თალიბებმა” ოპიუმის და ჰეროინის წარმოებას ქვეყანაში “დაუნდობელი” ბრძოლა გამოუცხადეს, მაგრამ მათ ტრიუკს დასავლელი ექსპერტები მალევე მიხვდნენ. “თალიბებმა” ავღანეთში ოპიუმის და ჰეროინის წარმოების ხელოვნური შემცირებით, საერთაშორისო ბაზარზე ამ ნივთიერების ფასი მკვეთრად გაზარდეს. მაგრამ “თალიბებმა” ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად აწეული ფასებით ნარკოტიკების დიდი პარტიების გაყიდვა ველარ მოასწრეს. აშშ-ს მიერ დაწყებულმა ანტიტერორისტულმა კამპანიამ ავღანეთში ”თალიბთა” მმართველობა დაამხო.

თუმცა, ბევრის მოლოდინი, რომ ოკუპაცია ავღანეთში ოპიუმის და ჰეროინის წარმოებას თუ არ აღმოფხვრიდა, მკვეთრად მაინც შეამცირებდა, არ გამართლდა. პირიქით, ყაყაჩოს წარმოებამ ამ ქვეყანაში კვლავ დიდი ტემპებით დაიწყო ზრდა. დღევანდელი მონაცემებით, რაც სხვადასხვა ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნება, ავღანურ ჰეროინს და ოპიუმს მსოფლიო წარმოების ორი მესამედი უკავია. ასევე სხვადასხვა დონის ექსპერტული შეფასებებით, ავღანეთში ყაყაჩოს მოსავალი წელს 4 ათას ტონას მიაღწევს. ეს შარშანდელ მაჩვენებელს თითქმის ხუთასი ტონით აღემატება. გაერო-ს ნარკოვაჭრობასთან და დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს შეფასებით, შარშან ყაყაჩოს მოსავალმა ავღანეთში 3422 ტონა შეადგინა. ამდენად, ავღანეთი ჰეროინით რუსეთის ბაზარს ასი პროცენტით აკმაყოფილებს და ევროპის ბაზრის ორ მესამედს უზრუნველყოფს.

ევროპაში ჰეროინი რომ ავღანეთიდან რუსეთის და კავკასიის, კერძოდ, საქართველოს გავლით ხვდება, ესეც არავისთვის არის საიდუმლო. სიკვდილის ქარავნების უსაფრთხოებას კი, რასაკვირველია, ადგილობრივი ხელისუფალნი და მაღალი თანამდებობის პირები უზრუნველყოფენ. მათ კი ამისათვის არც თუ მცირე მოგება რჩებათ. ამ ქარავნების უსაფრთხოების და სარფიანი რეალიზაციის შედეგად გაკეთებული მილიარდები კი სხვადასხვა ბანკებში ანგარიშებზე უკვე გათეთრებული სახით ჯდება, საიდანაც დიდი ნაწილი საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერებას ხმარდება, ნაწილი კი - გზების და მარშრუტების “უსაფრთხოებას” ანუ იმ ჩინოვნიკთა მფარველობაზე მიდის, რომელთაც სიკვდილის ქარავნების გაცილება ევალებათ.

### ჩაკეტილი წრე

დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ ნარკოტიკული საშუალებების წარმოების და მიმოქცევის პრობლემა ავღანეთში უახლოეს მომავალში ვერ მოგვარდება. ეს ტელეკომპანია “სი-ენ-ენ”-ისათვის მიცემულ ინტერვიუში თავად ავღანეთის ადმინისტრაციის ლიდერმა ჰამიდ კარზაიმაც აღიარა.

ცხადია, ავღანეთში ნარკოწარმოების შემცირებით, პირველ რიგში, ევროპის ქვეყნები არიან დაინტერესებულნი, რადგან სიკვდილის ქარავნების საბოლოო დანიშნულების პუნქტებს სწორედ მათი ქალაქები წარმოადგენს, რაც ევროპაში ხელს უწყობს როგორც ნარკობიზნესის გაძლიერებას, ასევე მოსახლეობაში და, განსაკუთრებით - ახალგაზრდებში ნარკომანიის ზრდას. ამ პრობლემით ყველაზე მეტად საფრანგეთია შეწუხებული, რომელმაც საერთაშორისო დონის კონფერენცია წელს უკვე ორჯერ მოიწვია. მონაწილეებმა ავღანელების დასაქმების პრობლემებზე იმსჯელეს, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ მიიღეს.

პრობლემის მთავარი არსი კი შემდეგში მდგომარეობს: ავღანელი გლეხები ყაყაჩოს მოყვანით გაცილებით დიდ მოგებას ნახულობენ, ვიდრე სხვა ალტერნატიული კულტურების მოყვანით. თანაც, ყაყაჩოს პლანტაციების მოვლა არც თუ ოფლისმღვრელ შრომას საჭიროებს.

**“ოჯახში 28 სული ვართ და მიწის დამუშავებით მიღებული ჩემი შემოსავალი გროშებია. როგორ შევძლებ მე ჩემი ოჯახის შენახვას, თუკი ხორბალს დავთესავ?”** - შეეკითხა 40 წლის მოჰამედ დასტაგირი გაზეთ “ლიბერასიონის” ჟურნალისტს. ამასთანავე, მან კარგად იცის, რომ ოპიუმის ყაყაჩოს დათესვით ის კარგ მოგებას ნახავს, რადგან მოსავლის აღების დროს მასთან თავად მივლენ ნარკოკონტრაბანდისტები და მის მოსავალს მთლიანად შეისყიდიან. მოჰამედი იმ წელს უზრუნველყოფილი იქნება. მოჰამედივით კი ავღანეთის მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს.

ავღანეთში ნარკოტიკების წარმოების შემცირების მიზნით, ჰამიდ კარზაის ადმინისტრაციამ სპეციალური ბრძანება გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც ავღანელ გლეხებს ყაყაჩოს პლანტაციის ერთი ჰექტარის განადგურებისათვის 300 ამერიკულ დოლარს გადაუხდიდნენ. რასაკვირველია, ამ ნაბიჯმაც ვერ გაამართლა. უფრო მეტიც, ამ ღონისძიებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო და მოსახლეობამ პლანტაციების მოშენება გაორმაგებული ძალით განაგრძო. მოსავლის აღების და “დაბინავების” შემდეგ, ისინი ამ პლანტაციებს ანადგურებდნენ და გაზრდილ მოგებასაც ნახულობდნენ. ცოტა ხანში, ჰამიდ კარზაი იძულებული გახდა, ეს დადგენილება გაეუქმებინა.

ამდენად, ავღანეთში ჩაკეტილი წრე განვითარდა. გაუნათლებელ და დაუსაქმებელ მოსახლეობას შემოსავლის მიღების იოლი გზა აქვს არჩეული. სასიკვდილო ქარავნების მარშრუტი დასავლეთის მდიდარი ბაზრისაკენ კი სწორედ ამ გზიდან იღებს სათავეს. რაში მდგომარეობს გამოსავალი? ამ კითხვაზე ვერავინ პასუხობს. წლის ბოლოს კი ავღანეთში 4 ათას ტონა ოპიუმის მოსავალს ელოდებიან, რის შემდეგაც სასიკვდილო ქარავნები, გარანტირებული კოლოსალური მოგების იმედით, გეზს კვლავ დასავლეთისაკენ აიღებენ.

# ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა შედგა

## ხუთი ქართველი ჯგუფებში გაანაწილეს

აკა ტონია

მიუნხენის "ბაიერნის" აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა ჯოვანი ელბერმა ლიონში ჩასვლისთანავე განაცხადა: თუ ჩემპიონთა ლიგაში "ლიონი" და "ბაიერნი" ერთ ჯგუფში მოხვდებიან, ლიტრობით შამპანურს ვიყიდიო. ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის ცერემონიალი ჯერ დამთავრებულიც არ იყო, როდესაც 31 წლის ბრაზილიელი მაღაზიაში გაიქცა... შამპანურის საყიდლად.

ევროპის საფეხბურთო ოჯახი გუშინ მონაკოს გრიმალდის ფორუმში იყო შეკრებილი. სწორედ ამ დარბაზში გაიმართა UEFA-ს 2003/2004 სეზონის ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა. გუშინდელი ცერემონიალი ქართველი გულშემატკივარებისთვის უფრო საინტერესო იყო, ვიდრე წინა წლების კენჭისყრა. განსხვავებული იქნება თავად წლევანდელი ჩემპიონთა ლიგაც. წლეულს აქ ერთბაშად ხუთი ქართველი ფეხბურთელი იასპარეზებს... კახა კალაძე მარტო აღარ იქნება, ჩემპიონთა ლიგაში შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის "რეინჯერსი" და მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის "ლოკომოტივი" ითამაშებენ. სასიხარულოა ისიც, რომ "რეინჯერსი" და "ლოკომოტივი" სწორედ ქართველ ფეხბურთელებს უნდა უმადლოდნენ გუშინდელ კენჭისყრაში მონაწილეობას.

თავად ცერემონიალზე ბევრი არაფერია სათქმელი. მთავარი მოქმედი პირი კვლავინდებურად იყო UEFA-ს გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას კენჭისყრის წესები გააცნო, შემდეგ კი საქმეს შეუდგა. ისევე როგორც გრიმალდის ფორუმში შეკრებილ სტუმრებს, სუნთქვა შეეკრათ ტელემაყურებლებსაც, მათ შორის საქართველოში. ნეტავ ვისთან მოუწევთ თამაში კალაძეს, არველაძეს, ხიზანიშვილს, ასათიანს, აშვეთიას? დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა – ჯგუფები დაკომპლექტდა. კალაძის "მილანი" ნებისმიერ მეტოქესთან ფავორიტი იქნებოდა, ეს წინასწარვე ვიცოდით, თუმცა, "სელტას", "აიაქსისა" და "ბრიუგეს" წინააღმდეგ მატჩებში ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ გამარჯვებულს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის. შედარებით უიმედოდ გამოიყურება მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის შანსები. მოსკოვის "ლოკომოტივს" მეტოქეებად "არსენალი" და "ინტერი" არგუნა ბედმა – მერვედფინალში გასვლაზე ფიქრიც კი, ალბათ, ფუფუნებაა.

"მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად E ჯგუფის ფავორიტად სწორედ არველაძისა და ხიზანიშვილის "რეინჯერსს" მიიჩნევენ, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ არც "შტუტგარტი" და არც "პანათინაიკოსი" მერვედფინალის საგზურს იოლად არ დათმობენ. არველაძე და ხიზანიშვილი თავის პირველ მატჩს 16 სექტემბერს, "შტუტგარტის" წინააღმდეგ გამართავენ.

რაც შეეხება სხვა კლუბებს: ჩემპიონთა ლიგის წლევანდელმა კენჭისყრამ ეგრეთ წოდებულ "სიკვდილის ჯგუფებს" აგვარიდა. კლუბები თანაბრად არიან განაწილებული, ისე რომ, მეტ-ნაკლებად ძლიერი ჯგუფების გამოყოფა საკმაოდ ძნელია. ყველაზე საინტერესო კი სწორედ ის იყო, რითაც ეს წერილი დავიწყეთ. ალბათ, მართლაც, საინტერესო იქნება, თუ როგორ იძიებს შურს ჯოვანი ელბერი თავის ყოფილ კლუბზე. მაგრამ ქართველებს ეს მაინც ნაკლებად გვადარდებს - ჩვენ ჩვენები უფრო გვაინტერესებს...

ჩემპიონთა ლიგის დღეებად კვლავინდებურად სამშაბათი და ოთხშაბათი დარჩა. 16-17 სექტემბერს პირველი მატჩები, ხოლო ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი შეხვედრები 9-10 დეკემბერს გაიმართება. როგორც იცით, მეორე ჯგუფური ეტაპი წლეულს აღარ იქნება და საუკეთესო 16 გუნდი მერვედფინალებში გააგრძელებს ასპარეზობას. მერვედფინალური მატჩები მომავალ, 2004 წელს გაიმართება: 24-25 თებერვალს და 9-10 მარტს. მეოთხედფინალები დანიშნულია 23-24 მარტს და 6-7 აპრილს, ხოლო ნახევარფინალები – 20-21 აპრილს და 4-5 მაისს.

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალის თარიღი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს დაემთხვა და გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში, სტადიონ "Auf Schalke"-ზე გაიმართება.

| A | B |
|---|---|
| ბაიერნი | არსენალი |
| ლიონი | ინტერი |
| სელტიკი | დინამო |
| ანდერლეხტი | ლოკომოტივი |

| C | D |
|---|---|
| დეპორტივო | იუვენტუსი |
| ეინდჰოვენი | გალატასარაი |
| აეკ | ოლიმპიაკოსი |
| მონაკო | სოსიედადი |

| E | F |
|---|---|
| მანჩესტერი | რეალი |
| პანათინაიკოსი | პორტო |
| რეინჯერსი | მარსელი |
| შტუტგარტი | პარტიზანი |

| G | H |
|---|---|
| ლაციო | მილანი |
| ჩელსი | სელტა |
| სპარტა | აიაქსი |
| ბეშიქთაში | ბრიუგე |

## TV-სპორტი

### პარასკევი. 29 აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "პარმა" - "რომა"
15:00 უეფას გალა-წარმოდგენა. "2002/2003 სეზონის საუკეთესი ფეხბურთელები"
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. "მიდლსბრო" – "არსენალი"
17:45 "FUTBOL MUNDIAL"
18:15 "დარტყმა გოლისთვის"
18:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
20:00 "მოსკოვი" – "პარიზი". მსოფლიო ჩემპიონატის განხილვა
21:00 "გაიტანე!" მაიკლ ოუენთან ერთად
21:20 "პოსტსკრიპტუმი"
21:50 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:25 "პოსტსკრიპტუმი"
01:55 გერმანიის ჩემპიონატი

**НТВ + СПОРТ**

09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 17:00, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (14:00) პრესცენტრი
16:00 "ჩქაროსნული სამყარო"
16:30 ჰოკეის საღამო
17:15 ტაილანდური კრივი
18:10 "სპორტული გლობუსი"
18:35 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური იაპონიაში
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (22:00) პრესცენტრი, (01:15) ახალი ამბები
03:00 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
03:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური იაპონიაში
03:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
12:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
13:00 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
15:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
16:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
17:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
18:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
19:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
21:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
01:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
03:00 ახალი ამბები
03:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
05:00 ახალი ამბები

ფეხბურთი

# ევროპაში რა გვინდოდა

## ქართული კლუბების ევროასპარეზობა პირველივე წრეში დასრულდა

**UEFA-ს თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი**

**სიონი - პუხოვი 0:3**

**გოლები:** *0:1, 0:2 ნემეცი (16', 34'), 0:3 გეგიჩი (45')*

**ტორპედო – ლანსი 0:2**

**გოლები:** *0:1, 0:2 ბაკარი (35', 41')*

პაატა თოთაძე



"სიონის" მორიგი უშედეგო იერიში.

ბონდო ბუხაიძის ფოტო

იმ მეცნიერებისა, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია, ქართულ კლუბებს ძალიან ცოტა რამ გაეგებათ. დიდი ხანია ეს ასეა და ამაში დასარწმუნებლად თითქოს აღარაფერი იყო საჭირო, მაგრამ ამ იმედს რა ვუთხრა... განა წინასწარ არ ვიცოდით, რომ "ტორპედოც" და "სიონიც" პირველი წრეში გამოეთიშებოდნენ ბრძოლას? მაგრამ განმეორებით მატჩში რაღაცას ველოდით, არც კი ვიცი, იმ რაღაცას რა ჰქვია, მაგრამ, მომავლის იმედს რომ ჩაგისახავს, ისეთს. არჩევანის საშუალება მომეცა და ბოლნისში წავედი თამაშის საყურებლად. არა იმიტომ, რომ ახლო იყო, უბრალოდ, ვიფიქრე: "პუხოვი" "ლანსთან" შედარებით დაბალი კლასის გუნდია და, შესაბამისად, ქართულ კლუბებს (ამ შემთხვევაში "სიონს") მასთან წარმატების მეტი შანსი ექნებოდათ.

ბოლნისელებმა ისე აქტიურად დაიწყეს მატჩი, რომ გულშემატკივარს იმედი მიეცა, ალბათ, დღეს ჩვენი დღეა, ვიგებთო. სწრაფი გოლის გატანის მსურველმა მასპინძლებმა სტუმრებს პირველ წუთებში ისეთი შტურმი მოუწყვეს... გონჩაროვის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ამის შემდეგ მოედანზე სურათი შეიცვალა: "სიონის" შეტევებს, გარდა იმისა, რომ იშვიათი გახდა, სიმწვავეც მოაკლდა. სხვაგვარად არც იქნებოდა, რადგან სლოვაკმა მცველებმა მასპინძლებს საჯარიმოს მისადგომები ისე გადაუკეტეს, რომ ბოლნისელებს ერთადერთი შანსი დარჩათ: კარი შორიდან დაელაშქრათ. მცველებს არც ნახევარმცველები და თავდამსხმელები ჩამორჩნენ და პირველ ტაიმში მათი კომბინაციებით თავგზააბნეულ ბოლნისელებს სამი ბურთი გაუტანეს. ხომ არ გგონიათ, ამ სამი ბურთის გატანას ორჯერ ან სამჯერ მეტი შეტევა მოანდომეს? ამ ყველაფერისთვის სტუმრებს ოთხი შეტევის განხორციელება დასჭირდათ და მასპინძლები ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ მეოთხეც გოლით არ დასრულდა.

საფეხბურთო განსწავლულობა არ ეყოთ ქართველებს სლოვაკთა დასამარცხებლად, თორემ საამისო ჟინსა და სურვილს ვერ დაუწუნებდით. ორთაბრძოლებს მეტწილად აგებდნენ, ერთმანეთს დროულად ვერ აზღვევდნენ ვერც მოედნის შუაგულში და ვერც საჯარიმოს მისადგომებთან თუ მის შიგნით. ამ დაბალი განსწავლულობის, უფრო სწორად, მისი არქონის ბრალი იყო ბოლნისელთა მიერ შექმნილი და გამოუყენებელი მომენტებიც. მეტოქემ ჩვენი კარისკენ სულ ხუთჯერ დაარტყა და სამი გოლი გაგვიტანა, მაშინ როცა მასპინძლებმა მეკარე ბერნადის კარისკენ ათჯერ დაარტყეს, მაგრამ რად გინდა. კუთხურებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს – 13 კუთხურიდან სტუმართა კართან ერთი სახიფათო მომენტიც არ შექმნილა.

"როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის. მეტოქემ დღეს ყველაფრით გვაჯობა, აშკარად ჩვენზე ძლიერი გუნდია. ასეთ დროს არაფერი გიშველის - არც ტაქტიკის, არც მოთამაშეთა ცვლა. პირველ ტაიმში 3:0 იყო. მეორე ტაიმში მდგომარეობა, შესაძლოა, კატასტროფული ყოფილიყო. ამიტომ იძულებული ვიყავი, ორის ნაცვლად ერთი ფორვარდი დამეტოვებინა მოედანზე და დაცვა გამემაგრებინა. ამ ორმა მატჩმა დიდი გამოცდილება შეგვძინა, რასაც მომავალში გამოვიყენებთ. ძალიან ცუდია, რომ წავაგეთ, მაგრამ ეს სასარგებლო წაგება იყო", - მატჩის შემდგომ განაცხადა თემურ მახარაძემ.

რაც შეეხება სლოვაკთა დამრიგებელს, შტეფან ზატკომ დიპლომატიურობა გამოიჩინა და გუნდი მეტ-ნაკლებად შეგვიქო, ისიც კი თქვა, სლოვაკეთის ჩემპიონატში ამ გუნდს ცხრილის შუაში შეუძლია ყოფნა, მაგრამ მანამდე კიდევ ბევრი აქვს სასწავლიო.

ჩოგბურთი

# ნოვაკი ანერვიულეს, ფედერერიც



REUTERS

ფედერერს პირველ სეტში გაუჭირდა, თუმცა შემდეგ...

**ნიუ იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. საპრიზო ფონდი 5 156 000 დოლარი.**

**ვაჟები. შარშანდელი გამარჯვებული პიტ სამპრასი (აშშ)**
**მეორე წრე:**

| | |
|---|---|
| ტომას ენკვისტი (შვედეთი) - ალბერტ პორტასი (ესპანეთი) | 6:2, 6:3, 6:1 |
| მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) - აინკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) | 6:2, 7:6, 6:4 |
| იარკო ნიემინენი (ფინეთი) - ნიკოლა მაუ (საფრანგეთი) | 6:2, 6:4, 7:5 |
| ნიკოლას მასუ (ჩილე) - გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 6:3, 6:3, 6:2 |
| იუნეს ელ აინაუი (მაროკო) - ალექს კიმი (აშშ) | 7:5, 7:6, 6:2 |
| უესლი მუდი (სარ) - ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) | 7:6, 6:2, 6:2 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 2) - ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 5:7, 6:3, 6:3, 2:0 |
| | *აკასუსომ თამაში შეწყვიტა* |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) - ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) | 6:4, 6:3, 6:3 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგ. 13) - ფილიპ კოლშრაიბერი (გერ.) | 6:4, 7:6, 6:3 |
| კარლოს მოია (ესპანეთი, 7) - სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) | 4:6, 6:4, 7:5, 7:6 |
| ჟან მიშელ გემბილი (აშშ) - დავიდ სანჩესი (ესპანეთი) | 7:6, 6:2, 6:2 |
| ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 10) - მარიო ანჩიჩი (ხორ.) | 3:6, 6:3, 5:7, 6:2, 6:2 |
| ჟან რენე ლისნარი (საფ.) - მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 6:2, 6:2, 6:7, 0:6, 7:6 |
| ანტონი დიუპუა (საფ.) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 5:7, 6:4, 3:6, 6:3, 7:5 |

**ქალები. შარშანდელი გამარჯვებული სერენა უილიამსი (აშშ)**
**მეორე წრე:**

| | |
|---|---|
| ამელი მორესმო (საფ. 5) - სტეფანი კოენ ალორო (საფრანგეთი) | 6:2, 6:2 |
| ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) - პატი შნაიდერი (შვეიცარია) | 6:4, 6:3 |
| ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) - მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) | 7:5, 6:3 |
| დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 9) - იულია ვაკულენკო (უკრაინა) | 6:0, 7:6 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია, 1) - ლორა გრანვილი (აშშ) | 6:1, 6:1 |
| მეგან შონესი (აშშ) - მაია მატევზიჩი (სლოვენია) | 6:3, 7:5 |
| ალისია მოლიკი (ავსტრალია) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 12) | 7:5, 6:4 |
| პაოლა სუარესი (არგენტინა) - მილაგროს სეკერა (ვენესუელა) | 6:1, 6:0 |
| მელინდა ჩინკი (უნგრეთი) - ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 4:6, 6:4, 6:1 |
| ამანდა კეტცერი (სარ, 14) - ბარბარა შეტი (ავსტრია) | 3:6, 7:5, 6:2 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 3) - მარია ელენა კამერინი (იტალია) | 6:2, 6:4 |
| ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) - მარია ვენტო (ვენესუელა) | 7:5, 6:3 |
| მარია კირილენკო (რუსეთი) - ანკა ბარნა (გერმანია) | 3:6, 7:6, 7:5 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) - პეტრა მანდულა (უნგრეთი) | 6:3, 6:3 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) - დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) | 6:1, 6:2 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი, 13) - ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) | 6:3, 4:6, 6:1 |

კაცმა რომ თქვას, მეორე ეტაპის პირველ დღეს თვალსასეირო შვეიცარიელი როჟე ფედერერისა და არგენტინელი აკასუსოს შეხვედრა იყო და ისიც იმიტომ, რომ უიმბლდონის ჩემპიონმა პირველი სეტი წააგო. ფედერერი თითქოს გართულებას არ ელოდებოდაო. მატჩი მოდუნებულმა დაიწყო. მას არ გამოსდიოდა ის საფირმო მოწოდებები, რითაც უიმბლდონის კორტებზე განაცვიფრა მაყურებელი.

"არ ვიცი, რას დავაბრალო. მატჩის დებიუტში ოდნავ მოვდუნდი და ამან გამომაფხიზლა", - აღიარებს ფედერერი. შვეიცარიელმა პირველი სეტი - 5:7 წააგო და მიხვდა, რომ კონცენტრაციის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. სამაგიეროდ შვეიცარიელმა შემდგომი პარტიები იმდენად ძლიერად წარმართა, რომ მეოთხე სეტში აკასუსომ თამაში შეწყვიტა.

ფედერერისა არ იყოს, ხორვატ მარიო ანჩიჩთან მძაფრი თავგადასავალი გადახდა მე-10 ნომრად განთესილ ჩეხ ირჟი ნოვაკს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ანჩიჩმა სამი სეტი გაუძლო ცნობილ მეტოქეს. მომდევნო ორი კი ნოვაკის სრული უპირატესობით წარიმართა. ეს იყო დღის ყველაზე ხანგრძლივი მატჩი. ჩეხი მეტოქეზე ბევრად სწრაფი და ზუსტი აღმოჩნდა და ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა - 3:6, 6:3, 5:7, 6:2, 6:2 ნოვაკის სასარგებლოდ.

ქალთა ნაწილში, ავსტრალიელი ალისია მოლიკისგან მე-12 ნომრად განთესილი კონჩიტა მარტინესის დამარცხებას თუ არ გავითვალისწინებთ, საყურადღებო არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა დამაჯერებლად ითამაშეს. მესამე წრეში გავიდნენ: კიმ კლიისტერსი, ლინდსი დევენპორტი, ამელი მორესმო და დანიელა ჰანტუხოვა.

მძლეოსნობა

# გამგებლები

ბიბა ბურასაშვილი



REUTERS

ანა გევარამ საკუთარი ფავორიტობა დაამტკიცა.

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე დღე წინა დღის ასპარეზობებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ სხვადასხვა დისციპლინათა ფინალები ერთბაშად რამდენიმე აშკარა ფავორიტის კარნახით წარიმართა. ეს ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც გამარჯვებულის გამოსაცნობად დიდი ტვინის ჭყლეტა და მარჩიელობა არ იყო საჭირო. მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი და მექსიკელი ანა გევარა, რა ხანია, 1500 და 400 მეტრზე რბენებში, ისევე როგორც სპორტული სიარულის პოლონელი დიდოსტატი რობერტ კორჟენიოვსკი, მსოფლიოს საკუთარი შედეგებით განაცვიფრებენ. თუ მაროკოელს, 1996 წლიდან მოყოლებული, 1500 მეტრზე 79-დან 76 გარბენში დაუმარცხებელს დაუტოვებია სარბენი ბილიკები და მექსიკელს ბოლო ორი წლის განმავლობაში 19 მნიშვნელოვანი შეჯიბრებიდან ყველა მოუგია, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კორჟენიოვსკი, 1996 წლიდან მოყოლებული, 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულს ერთპიროვნულად განაგებს. ერთი სიტყვით, სამივე მათთვის საფირმო დისციპლინებს განაგებს.

ჰიშამ ელ გურუჯის, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველაფერი მოგებული აქვს, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ბრწყინვალე კარიერის ერთადერთი ხინჯი ოლიმპიურ თამაშებზე წარუმატებლობაა. ჯერ ატლანტის (1996 წ.) ოლიმპიურ სარბიელზე მოეცარა ხელი, შემდეგ - სიდნეიში (2000 წ.), სადაც ოცნების ასრულებაში ნოაჰ ნგენიმ შეუშალა ხელი. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს, მაროკოელს იგი 1995 წლიდან საკუთარ მფლობელობაში აქვს. გურუჯი პარიზსაც ტიტულის შესანარჩუნებლად ეწვია. მაროკოელის ფავორიტობას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ამ დისციპლინაში სეზონის მეორე უსწრაფესი ადამიანი ბერნარ ლაგატი ავადმყოფობის გამო სარბიელს მიღმა დარჩა, რამაც, ბუნებრივია, გურუჯის შანსი ერთიორად გაზარდა. თუმცა, არც ისეა საქმე, თითქოს უკონკურენტოდ დარჩენილიყოს. გურუჯისთვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევას ევროპის ჩემპიონისგან, მასპინძელი მეჰდი ბაალასგან ელოდნენ. პროგნოზები გამართლდა. გურუჯი ზედიზედ მეოთხედ დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. თანაც, ისე, რომ საკუთარი გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებია. მასპინძელთა ყიჟინისა და შეძახილების მთავარ ობიექტს კი მეორე შედეგი აღმოაჩნდა.

ანა გევარას, ჰიშამ ელ გურუჯისგან განსხვავებით, გაცილებით მეტ ოფლის ღვრას უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან კონკურენტად მსოფლიო ჩემპიონი, სენეგალელი ემი მბაკე ტიამი ჰყავდა. გარდა ამისა, გევარას, მსოფლიო ჩემპიონის გარდა, საფრანგეთის სენეგალელთა მრავალრიცხოვანი დიასპორაც ხელშემშლელ ფაქტორად ექცა. თუმცა, სენეგალელ გულშემატკივართა ხმაურს, ისევე როგორც ემი მბაკე ტიამის შემოტევას, გევარა მაინც გაუმკლავდა.

წარმატებით გაართვა თავი მოვალეობას 20 და 50 კილომეტრებზე სიდნეის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორმა რობერტ კორჟენიოვსკიმაც. 35 წლის პოლონელმა მის მიერვე შარშან მიუნხენის ევროპის ჩემპიონატზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (3 საათი, 36 წუთი და 39 წამი) დაამხო – 3:36.03. რუსი გერმან სკურიგინი კი, რომელმაც სევილიის (1999 წ.) მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა და შემდეგ, დოპინგის ხმარებაში დადანაშაულებულს, ჩემპიონის წოდება ჩამოერთვა, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**ტექნიკური შედეგები**

**ვაჟები:**

**1500მ.**

1. ჰ. ელ გურუჯი (მაროკო) 3.31,77
2. მეჰდი ბაალა (საფრან.) 3.32,31
3. ივან ჰეშკო (უკრაინა) 3.33,17

**50კმ. სპორტული სიარული**

1. რ. კორჟენიოვსკი (პოლ.) 3:36.03
2. გ. სკურიგინი (რუსეთი) 3:36.42
3. ანდრეას ერმი (გერმანია) 3:37.46

**ათჭიდი**

1. ტომ პაპასი (აშშ) 8,750
2. რომან სებრლი (ჩეხეთი) 8,634
3. დ. კარპოვი (ყაზახეთი) 8,374

**ქალები:**

**400მ.**

1. ანა გევარა (მექსიკა) 48,89
2. ლ. ფენტონი (იამაიკა) 49,43
3. ემი მბაკე ტიამი (სენეგ.) 49,95

**100მ. თარჯრბენი**

1. პ. ფელიციე (კანადა) 12,53
2. ბ. ფოსტერი (იამაიკა) 12,57
3. მიეშა მაკკელვი (აშშ) 12,67

**ბირთვის კვრა**

1. ს. კრიველოვა (რუსეთი) 20,63
2. ნ. ოსტაპჩუკი (ბელორუსი) 20,12
3. ვიტა პავლიში (უკრაინა) 20,08

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" მეპატრონეს რომან აბრამოვიჩს მადრიდის "რეალის" ფრანგი ნახევარმცველის კლოდ მაკელელეს შეძენაც აქვს განზრახული. ინგლისური და ფრანგული პრესა ამტკიცებდა, რომ ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის ცერემონიალის შემდეგ, რომელიც გუშინ გაიმართა, აბრამოვიჩი "რეალის" პრეზიდენტ პერესთან აპირებდა შეხვედრას და მაკელელეს თაობაზე საუბარს. ჯერჯერობით უცნობია, შედგა თუ არა მათი შეხვედრა. მაკელელე "რეალის" ფეხბურთელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი მოთამაშეა. ნახევარმცველმა საჯაროდ განაცხადა, რომ სამეფო კლუბის მიტოვება სურს. აბრამოვიჩი მას ყოველკვირეულად 50 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობს, ხოლო "რეალს" (თუ მადრიდელები მაკელელეს დათმობენ) - 10 მილიონ გირვანქას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი ფრანგულ "ლიონში" გადადის. ეს ინფორმაცია "ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა გერმანული ტელეკომპანია ZDF-ის ეთერშიც დაადასტურა. ჰიონესმა აღნიშნა, რომ ელბერი უკვე ლიონშია და იქაურ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გადის. "ბაიერნიდან" ელბერის წასვლის ამბავი არც ისე მოულოდნელი ყოფილა. უკანასკნელ ხანს ფეხბურთელი სულ უფრო ხშირად იმუქრებოდა სხვა კლუბში გადასვლით. 31 წლის ბრაზილიელი "ლიონში" 2,4 მილიონ ევროს მიიღებს ყოველწლიურად. "ბაიერნთან" კონტრაქტი ელბერს მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება, ამიტომაც "ლიონს" სატრანსფერო თანხის გადახდაც მოუწევს გერმანული კლუბისთვის. ფრანგებს ელბერი 4,5 მილიონი ევრო "დაუჯდებათ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** როგორც იქნა, გაირკვა, თუ რა ბედი ეწევა არგენტინელ ხუან რამონ რიკელმეს. მას შემდეგ, რაც "ბარსელონამ" რონალდინიო შეიძინა, კატალონიელებმა არგენტინელი ნახევარმცველის თავიდან მოცილება განიზრახეს. რიკელმეს მსურველი გუნდი დიდხანს არ გამოჩნდა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა. რიკელმე ერთი წლით "ვილიარეალში" განათხოვრეს. კონტრაქტის თანახმად, თუ "ბარსელონას" არც მომავალში ექნება რიკელმეს დაბრუნების სურვილი, ერთწლიანი კონტრაქტი გაგრძელდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკანასკნელ სეზონში პედრო მუნიტისი მადრიდის "რეალს" სანტანდერის "რასინგში" ჰყავდა განათხოვრებული. სეზონის დასრულებისთანავე კი ფეხბურთელი კვლავ სამეფო კლუბს დაუბრუნდა. "რეალში" დაბრუნება მუნიტისისათვის სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მომავალ სეზონში ის მადრიდელთა რიგებში დარჩებოდა. "რეალი" ისევ ცდილობდა მუნიტისის თავიდან მოცილებას და ეს მცდელობა დაუფასდა კიდეც. ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ამიერიდან ლა კორუნიის "დეპორტივოს" ღირსებას დაიცავს. გუშინ მან სამედიცინო შემოწმებაც გაიარა თავის ახალ კლუბში და "დეპორტივომ" გუშინვე შეიყვანა თავის წინასასეზონო განაცხადში. "ბედნიერი ვარ იმით, რომ მომავალ სეზონში მუნიტისისთვის ხელფასის გადახდა არ მოგვიწევს", - სიხარულს არ მალავდა "რეალის" სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შესაძლოა, 2006 წელს რონალდოს სანაკრებო კარიერა დასრულდეს. ამის შესახებ ფეხბურთელის პირადმა პრეს-მდივანმა, კარლოს პაივამ განუცხადა ჟურნალისტებს. "რონალდო ფიქრობს, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ის თავის საუკეთესო სპორტულ ფორმას მიაღწევს, ამიტომაც მეგობრებს უთხრა, რომ 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას არ გამორიცხავს", - განაცხადა პაივამ, თუმცა, იქვე დაამატა, რომ რონალდოს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. "რონალდომ ჯერ არ იცის, თუ რა გავლენას მოახდენს მასზე ბრაზილიის ნაკრებს მიღმა დარჩენა". ასეა თუ ისე, 2006 წლამდე ჯერ შორია. 22 სექტემბერს რონალდო 27 წლის გახდება, 7 და 10 სექტემბერს კი ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ის თავის მორიგ მატჩებს გამართავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" და "ბრეშას" ყოფილი მწვრთნელი, მხცოვანი კარლო მაცონე "ბოლონიას" ჩაუდგა სათავეში. მაცონე სულ ცოტა ხნის წინათ გათავისუფლებული ფრანჩესკო გვიდოლინის ადგილს დაიკავებს. გვიდოლინის გადაყენების უმთავრეს მიზეზად "ბოლონიას" ხელმძღვანელობის სატრანსფერო პოლიტიკის კრიტიკა სახელდება. 66 წლის მაცონემ იტალიის ჩემპიონატის გასულ სეზონში "ბრეშა" მე-9 ადგილზე გაიყვანა. მწვრთნელის პოსტზე მას სერია A-ს ახალწვეული "ანკონაც" ეპატიჟებოდა. მაცონემ "ანკონას" უარი უთხრა და "ბოლონიას" წინადადებას დათანხმდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ინდიანა პეისერსის" ტექნიკურმა დირექტორმა ლარი ბერდმა თანამდებობიდან გაათავისუფლა გუნდის მწვრთნელი ეიზია თომასი, რომელიც ამ პოსტზე 2000 წლიდან მუშაობდა. არც კლუბის პრეზიდენტი დონი უოლში და არც ლარი ბერდი თომასის გათავისუფლების დეტალებზე არ საუბრობენ. მათ მხოლოდ ის განაცხადეს, რომ "ყოფილ მწვრთნელს შედეგების გაუმჯობესების სურვილი ვერ შეატყვეს".

■ ■ ■

**კალათბურთი.** NBA-ს ჩემპიონმა კლუბმა "სან ანტონიო სფურზმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა პუერტორიკოელ ელიას აიუზოსთან. შემტევი ხასიათის მცველმა უნდა შეცვალოს სტივ კერი, რომელმაც ამ სეზონში კარიერა დაასრულა. აიუზო ნიუ იორკში გაიზარდა, თუმცა, ის პუერტო-რიკოს ნაკრების წევრია. "სფურზის" შემადგენლობაში ის რიგით მეხუთე უცხოელი იქნება არგენტინელი მანუ ჯინობილის, ფრანგი ტონი პარკერის, იუგოსლავიელი რაშო ნესტეროვიჩისა და თურქი ჰედო თურქოღლუს შემდეგ.

## მოკლედ

### "მოსფილმი" აფხაზეთში სერიალს გადაიღებს

კინოსტუდია "ჟანრი" კინოკონცერნ "მოსფილმის" ბაზაზე აპირებს აფხაზეთში გადაიღოს სერიალი "უხმაურო სიკვდილის" ნაწილი. რეჟისორია ვსევოლოდ პლოტკინი.

"ფილმი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, იარაღის უკანონო ბრუნვას, კაცურ მეგობრობას, ღირსებასა და უღირსობას ეხება," - განაცხადა მან.

რუსი კინემატოგრაფების ჯგუფმა სოხუმის მთავრობის ვიცე-პრემიერთან, ვლადიმერ ზანთარიასთან შეხვედრისას განიხილა გადაღებების უზრუნველყოფის საკითხები. "აფხაზეთის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ჩვენს პროექტს და მოგვიწვია ფილმის ნაწილის გადასაღებად," - განაცხადა პლოტკინმა. ***კავკას-პრესი***

### უსინათლო მომღერალთა ფესტივალი ქუთაისში

ქუთაისში სექტემბრის ბოლოს უსინათლო მომღერალთა ფესტივალი გაიმართება. აღნიშნულ ღონისძიებას არასამთავრობო ორგანიზაცია - "დახმარების საერთაშორისო ფონდი" მეორედ გამართავს. როგორც ფონდის დირექტორმა თემურ სულაძემ განაცხადა, ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 35 ქართველი მომღერალი. "დახმარების საერთაშორისო ფონდი" მონაწილეებისათვის ფულად პრემიებს აწესებს.

პირველად ასეთი ფესტივალი 2001 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა. ***ინტერ-პრესი***

### ნუნუ გაბუნია ახალ ოპერეტას წერს

კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია ახალ მუსიკალურ ნაწარმოებზე მუშაობს. ახალ ოპერეტას ის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრისათვის წერს. ოპერეტის ლიბრეტო „ბულბულის ქუჩა ნომერი 17" ერთ-ერთ იუგოსლავიელ დრამატურგს ეკუთვნის. პიესა კომედიური ჟანრისაა და ჩვენი ქვეყნის ყოფას სავსებით ესადაგება. ნუნუ გაბუნიას თქმით, მან ამ ნაწარმოებზე მუშაობა წელიწადნახევრის წინათ დაიწყო, თუმცა დღემდე მისი დასრულება ვერ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ „ბულბულის ქუჩა" ათეული წლების წინათ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა. დღეს ეს სპექტაკლი თეატრის რეპერტუარში უკვე აღარ არის. ***მედია-ნიუსი***

### ოპერის თეატრში სეზონი დაგვიანებით დაიწყება

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი სეზონი წელს ტრადიციული სექტემბრის ნაცვლად, ერთი თვის დაგვიანებით, ოქტომბერში დაიწყება. ოპერის დირექტორის, ზურაბ ლომიძის ინფორმაციით, სეზონის დაგვიანებით გახსნის მიზეზი თეატრის ორკესტრში მომხდარი ცვლილებებია. კერძოდ, როგორც ცნობილია, ორკესტრი 105 მუსიკოსიდან 34-მა დატოვა, რომელთა ადგილზე, მართალია, ახლები უკვე მოვიდნენ, მაგრამ საკონცერტო პროგრამის ასათვისებლად დრო სჭირდებათ და სეზონის გახსნაც ერთი თვით ამ მიზეზით გვიანდება. რაც შეეხება ოპერის ორკესტრიდან წასულებს, ისინი ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში დაბრუნდნენ. ლომიძის განცხადებით, თავის დროზე მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა ჯანსუღ კახიძემ თავისი მუსიკალური ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი თბილისის სიმფონიური ორკესტრიდან რამდენიმე მუსიკოსი ოპერის ორკესტრის გასაძლიერებლად ოპერაში მიიყვანა და რამდენიმე წლის მანძილზე მუსიკოსები ორ ორკესტრში მუშაობას ითავსებდნენ.

ზურაბ ლომიძის განცხადებით, ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ ოპერაში დასაქმებულ სიმფონიური ორკესტრის წევრებს შესთავაზა, კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში დაბრუნებულიყვნენ და იმ თანხის ანაზღაურებასაც დაჰპირდა, რასაც ოპერაში იღებდნენ. შედეგად, როგორც აღინიშნა, 34 მუსიკოსი ოპერიდან წავიდა, რომელთა შემცვლელები ოპერაში უკვე მოიძიეს. "ერთი წელი განახლებული ორკესტრი იმუშავებს, მერე კონკურსს გამოვაცხადებთ და თუ უკეთესები გამოჩნდებიან, ორკესტრს ისევ განვაახლებთ," - აღნიშნა ლომიძემ. ***კავკას-პრესი***

# არაჩვეულებრივი გამოფენა ღვინის ქარხანაში

*Sigvarulid mturali var – სიყვარულით მთვრალი ვარ. სასაუბროდან უცხოელთათვის*

ანა კორძაია-სამადაშვილი

ისინიც კი, ვისაც თანამედროვე ხელოვნება დიდად არ იტაცებდათ და გამოფენის დათვალიერებისას მხრებს იჩეჩავდნენ, ალიარებდნენ, რომ გუშინ ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე შესანიშნავი ამბავი დატრიალდა. თუკი შემოქმედებასა და ახალგაზრდა ხელოვანთა ნიჭის შესახებ გვსურს საუბარი, შეგვიძლია თუნდაც ის ფაქტი აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ნიჭიერი ადამიანები შეძლებდნენ ამხელა სივრცეში და ამდენად განსხვავებული საზოგადოებისთვის დღესასწაულის გამართვას. ხოლო რაც სახვით ხელოვნებას შეეხება, თავს ნებას მივცემ და ჩვენი გუშინდელი "დიასახლისის" სიტყვებს გავიმეორებ: რემბრანდტზე უკეთ მაინც ვერ დავხატავთ, ასე რომ, ტყუილად ნუ მოვიშლით ნერვებს, და კომენტარი "არ მესმის" ბევრი ვერაფრის მთქმელია. ვინ თქვა, რომ ყველაფერი უნდა გვესმოდეს?

ამ პროექტის, "უცხოელის" შესახებ ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა უკვე ბევრი რამ იცის. მათთვის კი, ვინც ცხელ ზაფხულს გაერიდა და ამის გამო ბოლო დროს კულტურის საიხლეებიც არ სმენია, სიამოვნებით გავიმეორებ:

9 ივლისიდან 27 აგვისტომდე, თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, ღვინის ქარხნის, "სავანეს" ეზოსა და შენობაში, ახალგაზრდა ხელოვანები მუშაობდნენ, ქართველები და უცხოელები: სოფო ტაბატაძე, ზურა მაჭარაშვილი, თამუნა ჭაბაშვილი, ლადო დარახველიძე, სოფო ბაზღაძე, შანიან იანი, ლოტე ხეივენი, ნანა ვან ჰეისტი, ადრიელ ვან დრიმელენი, ანი რიაბოშენკო და კირსტენ ლენარსი. ის, რაც მათ ამ დროის განმავლობაში შექმნეს, ამჟამად ზემოთხსენებულ ღვინის ქარხანაშია გამოფენილი.

როგორი სარდაფები ჰქონია ღვინის ქარხანას! ჯერ საკმაოდ ციცაბო კიბე უნდა ჩაიაროთ, რომლის მოაჯირიც ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მისი მშვენება განსაკუთრებით იყოს აღნიშნული, და შემდეგ სარდაფში, არა, დარბაზებში მოხვდებით, უზარმაზარ, თაღოვან სივრცეში. აქ უკვე თქვენი გადასაწყვეტია, როგორ გუნებაზე დადგებით, ტემპერამენტს და ნერვებმოშლილობის ხარისხს გააჩნია: თუ მფრთხალი ბრძანდებით, ძირითადი დარბაზებიდან ვიწრო ტალანებში გასვლას მაინც მოერიდეთ, რადგან მათ ბოლოს, სანთლების მოპარპალე შუქში, უსაშინლესი, მაგრამ ფრიად შთამბეჭდავი ამბავი დაგხვდებათ. მარტო რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად არ მეამებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, უამრავი ხალხი ვიყავით ჩასული.


გამოფენის გახსნაზე ღვინის ქარხნის ბაღში


ყველა დარბაზში ხალხმრავლობა იყო

საერთოდ, გუშინდელის მსგავსი ხალხმრავლობა ამ მშვენიერ ადგილს – ღვინის ქარხანას ვგულისხმობ – ალბათ, დიდი ხანია, არ ღირსებია. მრავალი "კარენნოი" თბილისელიც კი პატარა წალკოტში პირველად მოხვდა. მათ იქაური ფარშევანგები ეგებებოდნენ, და თუმცა ძალიან საძაგელი ხმა აქვთ, მაინც სასიამოვნოა, როცა ფარშევანგი მოგძახის და არა, მაგალითად, ყვავი. ეს უცხო ფრინველები მთელს თავყრილობაზე, ალბათ, ყველაზე უცხოელები იყვნენ, რადგან მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი "უცხოელის" პრეზენტაციაზე ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდა – ყველანი მეტ-ნაკლებად ადამიანები ვიყავით და თუ "სიყვარულით მთვრალები" არა, ერთმანეთის მიმართ კეთილად განწყობილი მაინც.

გარუჯული, დასვენებული და ამის გამო განსაკუთრებით სიმპათიური თბილისელები, მართლაც, არნახული რაოდენობით მობრძანდნენ. მიუხედავად ამისა, ყოველ ჩვენთაგანს, ალბათ, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მთელი ეს ჟრიამული საგანგებოდ მისთვის მოეწყო – ჭიშკართან მდგომი ქალბატონი ნინო ფურცხვანიძე და პროექტის ავტორი და ერთ-ერთი მონაწილე, სოფო ტაბატაძე ყოველ სტუმარს პერსონალურად ეგებებოდნენ, რაც – ალბათ, დამეთანხმებით – შესანიშნავი რამაა. შემოსასვლელშივე დარიგდა გაზეთ "უცხოელის" შუა გვერდი. ის შეიცავს გამოფენის რუკას, პროექტის მოკლე აღწერილობას და ერთი ციდა ქართულ სასაუბროს, რომელიც უცხოელებს ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვებსა და გამოთქმებს ასწავლის, მაგალითად: "სიყვარულით მთვრალი ვარ" და "რა გემრიელია".

გემრიელი რამეების საპოვნელად დამთვალიერებლებს რუკა არ დასჭირვებიათ: ბაღში უამრავი ხილი და სასმელი "იღებოდა", ხოლო უკანა მხარეს, ეზოში, დიდ დაწნულ კალათებსა თუ სინებზე (არ ვიცი, ასეთი ფორმის ჭურჭელს რა ჰქვია) შოთის პური, ნაირ-ნაირი ყველი და კიდევ ათასგვარი სიკეთე ეწყო. რუკის საჭიროება არც გამოფენის დათვალიერებისას მიგრძვნია, და მობრძანებულთა დიდ ნაწილსაც, ჩემს მსგავსად, სწორედ ის მოსწონდა, რომ არ იცოდა, სად რას "გადააწყდებოდა". ყველაფერი მოულოდნელი იყო – გამჭვირვალე ადამიანებიც, თითქოს ყველასთვის ნაცნობი, მაგრამ აქ ახალი თვალით დანახული, ბაზრობების მკვიდრი სახლიდახლიც – რომელი ერთი ჩამოვთვალო... ამიტომ ამ საქმისგან თავს შევიკავებ, მსურველები უჩვეულო გამოფენის დათვალიერებას 5 სექტემბრამდე შეძლებენ, ექსპონატები არსად გაიქცევა. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ მამუკა ბერიკას, ნიკა წერეთლისა და მათი მეგობრების მიერ უცხო საკრავებზე შესრულებულ უცხო მუსიკას ველარ მოუსმენთ, ყოველდღე ნამდვილად არ დაუკრავენ. არადა, მართლა აფსუსია – ძალიან კარგი იყო.

# კონი აილენდი: სროლა ცოცხალ სამიზნეში

მელორ სტურუა,
საქ.კორ. აშშ-ში

კონი აილენდი, კონი აილენდი! რა სახალისო, მხიარული სიტყვათშეხამებაა! ამ სიტყვებს როცა წარმოვთქვამ, თუნდაც გააზრებულად, მაშინვე მახსენდება ის წლები, როცა ნიუ იორკში ჩავედი (ეს დაახლოებით 40 წლის წინ იყო), უფრო სწორად მანჰეტენზე, კონი აილენდზე გავატარე ვიკენდი ჩემს პატარა ვაჟთან ერთად. კონი აილენდი ბავშვებისათვის სამოთხეა. სხვათა შორის, დიდებისთვისაც. ბავშვებს ატრაქციონები იზიდავს, უფროსებს - ზღვა.

დღემდე ჩამესმის ყურში ჩემი შვილის მხიარული სიცილი, როცა ბურთი მიზანს მოარტყა, რის შემდეგაც სასაცილო კლოუნი წყლიან კასრში ჩავარდა. მაგრამ ახლა კონი აილენდზე ეს ძველმოდური და უცოდველი ატრაქციონი, ასე ვთქვათ, მოარგეს თანამედროვეობას, რომელსაც ძალადობით წაართვეს უცოდველობა. "ვესროლოთ შერეკილს" ან "ვესროლოთ მახინჯს" (გააჩნია როგორ თარგმნი სიტყვას Freak).


მოდაშია ცოცხალ სამიზნეში სროლა

თამაშის არსი შემდეგში მდგომარეობს: ექვსი მოთამაშე გამწკრივდება სასროლ ბილიკზე სტილვენავენიუს მახლობლად და თოფს ისვრის. ეს ხდება ტერიტორიაზე, რომელიც ნაგვითა და ასფალტის ნაჭრებით არის სავსე. ნაგვის კალათებსა და ასფალტის ფილებს შორის ადამიანის უცნაური ფიგურა მოძრაობს. მისი ტანსაცმელი გვაგონებს კოქტეილს ჰოკეისტის, ბეისბოლისტის და მოტოციკლისტის თავდაცვითი ინვენტარიდან, სწორედ ეს არის Freak.

ზოგჯერ ფიგურა ადგილზე შეშდება. მსროლელმა ამ მომენტით უნდა ისარგებლოს და დაჭრას "მახინჯი" შუბლში ან გულში. ვინაიდან თამაში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მისი მონაწილენი საბრძოლო პატრონებს კი არა, წითელ საღებავიან ტყვიებს ისვრიან. როდესაც "მახინჯს" ტყვია მოხვდება, ის შეფერილ სითხეს გამოყოფს და მის სხეულზე კვალს ტოვებს, ეს კვალი სისხლის ლაქას ჰგავს. ხუთი გასროლა სამი დოლარი ღირს, 75 გასროლა - 20 დოლარი. გამარჯვებულ სნაიპერს ჯილდოდ პლუშის დათუნია ან სხვა სათამაშო კი არ ერგება, მისი ჯილდო ცოცხალი სამიზნეა და მისი მოკვლით მიღებული აღგზნება.

23 წლის მეთიუ ბიჰენი, "მახინჯის" როლის შემსრულებელი, ამბობს რომ ტყვიები მას დიდ ტკივილს არ აყენებს. "ისინი მხოლოდ იგესლებიან," - ამბობს მეთიუ. თუმცა ზოგჯერ კარგა მაგრადაც ხვდება. ერთხელ სამი წუთის განმავლობაში 200 ტყვია მოარტყეს. "როგორც ჩანს, მსროლელი შესანიშნავი სნაიპერი იყო," - ფიქრობს ბიჰენი. პროფესიით ის მსახიობია. დაამთავრა ამერიკის დრამატურგიული ხელოვნების აკადემია ნიუ იორკში. იმ სამუშაოებს შორის, რომლის შოვნაც მოახერხა, "მახინჯად" მუშაობა მის პროფესიას ყველაზე მეტად შეეფერება. თუმცა, მისი თქმით, ძნელია ითამაშო, როცა გესვრიან." ზოგჯერ ამოსუნთქვა რომ შეძლოს, მეთიუ თავს იმკვდარუნებს, ჯერ მუხლებზე ეცემა, მერე ზურგზე (თამაშის წესების მიხედვით, "მკვდარს" არ ესვრიან).

ცოცხალ სამიზნეში სროლა გამოიგონა ვინმე ენტონი ბერლინგნერიმ, კონი აილენდის აბორიგენმა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ვაჭრობდა სანაპიროზე "ჰოთ- დოგებითა" და ინგლისური ფუნთუშებით. როგორც ჩანს, ვაჭრობა მობეზრდა.

"სროლა ცოცხალ სამიზნეში, რომელიც მოძრაობს და ლაპარაკობს, ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე მანეკენის მიზანში ამოღება," - სამართლიანად ამტკიცებს ენტონი. ცოცხალი სამიზნეების კანდიდატები უხვად არიან. ენტონი თავადაა კადრების განყოფილება, თან ერთობ ლიბერალური. "მე მათ ნარკოტიკებზე ტესტის გავლას არ ვთხოვ, არც განათლების დონით ვინტერესდები, კრიმინალური წარსულის ცნობას არ ვთხოვ, და რომ ჰქონდეს კიდეც, ამაზეც თვალს ვხუჭავ," - გვეუბნება "ლიბერალი კადრების უფროსი".

მეთიუ ბიჰენი, ქრაუნ-ჰაიტსის (ბრუკლინი) მცხოვრები სანამ "მახინჯად" იმუშავებდა, გაცნობის ბიუროში მუშაობდა. მაგრამ მაჭანკლობა მისი პროფესიისგან ბევრად უფრო შორს იდგა. და აი მან "მახინჯად" დაიწყო მუშაობა. ერთხელ, კონი აილენდზე რომ სეირნობდა, ბიჰენი ბერლინგნერის ატრაქციონს მიადგა და იქვე გადაწყვიტა: "აი ეს სამუშაო ჩემთვის ზედგამოჭრილია. ოფისის გარეთ, სუფთა ჰაერზე, თანაც პლაჟზე. და თანაც სამუშაოზე შეგიძლია დალიო კიდეც!" მოკლედ კაიფია. თითქმის ისევე როგორც კომუნიზმში. და მაინც არ არის ისე, როგორც კომუნიზმში. "ზოგჯერ ხალხი ითხოვს, რომ მუზარადი მოვიხადო, მათ უნდათ, ტყვია პირდაპირ სახეში გამარტყან, რომელიც დაუცველია. თავიდან გულთან მეტისმეტად ახლოს მიმქონდა," - ყვება მეთიუ. რა არის იცი? - კაპიტალიზმის ამონახველია.

"მახინჯად" მუშაობამ ისე გაიტაცა ბიჰენი, რომ თავისი დაპირებაც კი დაივიწყა, მას ხომ დაბადების დღე ოჯახში უნდა გაეტარებინა. თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მიდის მთასთან. და აი, კონი აილენდზე გამოჩნდა ცინცინატიდან ჩამოსული ქალბატონი ტერი ბიჰენი. უსაზღვროა დედობრივი სიყვარული, ტერის არ უსარგებლია შემთხვევით და უძღები "მახინჯი" შვილისთვის ტყვია არ უსვრია. მაგრამ ის დაპირდა, რომ ყოფას უტირებს.

აი, მეორე "მახინჯს", 19 წლის ჯეისონ ნოიფილდს კი ასე ვერ გაუმართლა. როდესაც ჯეისონის მამამ გაიგო, რითი იყო დაკავებული მისი ვაჟი, მივიდა კონი აილენდზე და იქვე მიახვრიტა. "მამაჩემი დიდხანს ელოდა ასეთ შესაძლებლობას, მას შემდეგ, რაც 12 წელი შემისრულდა," - გულწრფელად აღიარა ჯეისონმა.

"მახინჯებს" ბევრს არ უხდიან, მაგრამ არც ჩაგრავენ. თუ ტყვიების წვიმას დილიდან გვიან ღამემდე გაუძლებ და ამინდი და მსროლელთა რაოდენობაც ხელს შეგიწყობს, შეიძლება სახლში 150 დოლარიც კი მიიტანო.

ახლა რაც შეეხებათ მსროლელებს. ვინაიდან ბავშვები კონი აილენდზე, როგორც წესი, მშობლების თანხლებით მოდიან, ცოცხალ სამიზნეებს, ასე ვთქვათ, ოჯახურ წრეში ესვრიან, ძირითადად, მამები და ვაჟები. პატარა ერიკ დინგმანი ძალიან გახარებულია, რომ მისი "მახინჯი" მშვიდად იდგა და სახეში ორჯერ მოახერხა გარტყმა. რვა წლის კრისი კი ამ საქმისთვის დედასთან ერთად გამოცხადდა და მხოლოდ ის ისროდა. როდესაც დედამისს, კარენს ჰკითხეს - რატომ არ უერთდებითო, მან გულწრფელად გასცა პასუხი: "მეშინია, რომ შეიძლება მომეწონოს. მეშინია, რომ მივეჩვევი." მერე ეს რომ პანია კრისს დაემართოს?

მე სავსებით ვეთანხმები ვილი ჰიქსონს, რომელმაც ამ ატრაქციონის შემყურემ აღშფოთებით შესძახა: "ბავშვებს სხვა თამაშები სჭირდებათ, რომლებიც მათ აღზრდის და ცოდნას მისცემს." და პაუზის შემდეგ დასძინა: "მერე კიდევ გვიკვირს "ბლეკაუტი" რატომ ხდებაო."

მაგრამ მისტერ ბერლინგნერი სულაც არ თვლის თავის გამოგონებას ანტიჰუმანურად. "ჩემი სავაჭრო ნიშანი ცოცხალი სამიზნეა," - აცხადებს ის ამაყად. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ საზოგადოებას თამაშის ახალ ვარიანტებს შესთავაზებს. მათში ძველებურად მხოლოდ სამიზნე ადამიანების სახელს დატოვებენ - Freak. "ეს იმიტომ, რომ ორგვლივ უამრავი მახინჯია. სიმახინჯე მარადიული რამაა." ასე ხსნის ამას ენტონი. ამაში ის, ალბათ, მართალია, თუკი სიტყვა "მახინჯს" ბრჭყალებს მოვაშორებთ. თუკი მას სამიზნეებს კი არ მივუსადაგებთ, არამედ სნაიპერებს, მაგალითად, იმას, რომელიც ახლა ვირჯინიის მცხოვრებთ შიშის ზარს სცემს.

საჭმელი

# "ჩინური ძროხა" ანუ იგივე „სასარგებლო სოიო„


სოიოს ნაირსახეობანი

სალომე კიკალეიშვილი

სოიო - საკვები, რომელიც ჩვენი მომხმარებლისთვის ასე თუ ისე ნაცნობია, აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ასწლეულების წინათ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც თავისი სასარგებლო თვისებებით არაერთ პროდუქტს ჩამოიტოვებს უკან. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ადამიანი საკვების მოლეკულურ ანალიზს დაიწყებდა, ჩინელები სოიოს ფართოდ იყენებდნენ და მას "უძვლო ხორცს" ან "ჩინურ ძროხას" ეძახდნენ, ხოლო იაპონელები ლექსებსაც კი უძღვნიდნენ. მართალია, ეს პროდუქტი ჩვენში არც ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ თუ ჩამოგითვლით მასში შემავალ ვიტამინებსა და მინერალებს, დარწმუნებული ვარ, ძლიერ მოგხიბლავთ და თავქუდმოგლეჯილი თუ არა, მაინც გაეშურებით მის შესაძენად. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სოიო არაჩვეულებრივი გასახდომი საშუალება ყოფილა, მაშინ ჩემი ვარაუდი უეჭველად გამართლდება.

მაშ ასე, შევუდგეთ: კალიუმი, ფოსფორი, კალცი, მაგნიუმი, ნატრიუმი, ხოლო რკინა მასში ხორბლის პურთან შედარებით 7-ჯერ მეტია. გარდა ამისა, ახალგაზრდობისთვის ხელისშემწყობ B, D და E ვიტამინებსაც შეიცავს, მისი შემადგენლობის 40 პროცენტი ცილებია. ჩვეულებრივი ხორცისგან განსხვავებით, არ შეიცავს ქოლესტერინს და ჰორმონებს, იოლად გადამუშავდება ორგანიზმის მიერ და მისი მიღება შესაძლებელია როგორც მკაცრი ვეგეტარიანული დიეტის, ასევე მარხვის დროსაც. მოკლედ სოიოს სასარგებლო თვისებებზე მთელი საათი წერას, ის სჯობია დავწეროთ, თუ სოიოს რა პროდუქტების შეძენა, ან გასინჯვა შეგიძლიათ ჩინურ ან იაპონურ რესტორნებში.

მისო - უცხო სიტყვა არ უნდა იყოს, ჩინური სამზარეულოს მოყვარულთათვის. ტრადიციული მისო - წვნიანი, ანდა საწებელაა, რომელიც სოიოს მარცვლების, მარილის, წყლის და ბრინჯის თესლებისგან მზადდება. აქვს სპეციფიკური გემო და რაც ყველაზე საინტერესოა, ორგანიზმიდან გამოჰყავს რადიოაქტიური ნივთიერებები. ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებდა იაპონელი ექიმი ალკუზული, რომელიც ხიროსიმასა და ნაგასაკიში, ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ სამაშველო ბრიგადას ხელმძღვანელობდა. "არც ერთი ჩვენი წევრი არ დაავადებულა, მარტო იმიტომ, რომ ჩვენ რეგულარულად მისოს პასტით ვიკვებებოდითო" - განაცხადა ექიმმა. რადიოაქტიური ნივთიერებებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ შეგიძლიათ გასინჯოთ სოიოს მოტკბო რძე, რომელიც არანაკლებ სასარგებლო და უცხოა და რომელიც სოიოს ფქვილისგან მზადდება.

ტოფუ - ნაციონალური იაპონური სოიოს ყველი, რომელიც ასევე სასარგებლოა, კარგი გასახდომი საშუალებაც ყოფილა. მოკლედ, ალბათ, დაეჯერებათ იაპონელებს და სოიოს მოხმარება, მართლაც, მოუხდება ჩვენს ორგანიზმს. ყოველ შემთხვევაში საზიანო რომ არ იქნება, ფაქტია.

# ჯულიეტ ბინოში - ახალი შეჰერეზადა



მსახიობი ჯულიეტ ბინოში ახალ ფილმში მიიღებს მონაწილეობას. საქმე ეხება ყველასათვის ნაცნობი არაბული ზღაპრის "ათას ერთი ღამის" ეკრანიზაციას, რომლის გადაღებებიც ლონდონში, სექტემბერის თვეშია დაგეგმილი. როგორც ჟურნალი Variety იტყობინება ფილმს "შეჰერეზადა" ერქმევა. ხოლო რეჟისორი მაიკლ აპტელი და "საიდუმლო ფაილების" სცენარისტი ჯეფ ფლემინგი, რომელიც ამ ფილმის სცენარის ავტორადაც გვევლინება, სრულებითაც არ აპირებენ ნაწარმოების ეკრანზე გადმოტანას. სიუჟეტი უფრო თანამედროვე ხასიათის იქნება, და არც დღევანდელ პოპულარულ კინოთემატიკას უღალატებს - გატაცება. ეს იქნება ცნობილი განგსტერის ცოლის (ჯულიეტ ბინოშის) გატაცება, რომელსაც გავლენიანი ქმარი ვერაფრით ვერ ეხმარება და მარტოდ დარჩენილი ცოლი იძულებულია, თავად გამოძვრეს ამ არასახარბიელო სიტუაციიდან. იგი იწყებს მოლაპარაკებებს გამტაცებლებთან და როგორც ჩანს, სწორედ რომ აქ მოხდება, არაბულ ზღაპართან პარალელის გავლება.

# შოტლანდიაში ლეონარდოს მადონა მოიპარეს

ოთხშაბათს შოტლანდიის ერთ-ერთ ციხესიმაგრეში გამოფენილი კერძო კოლექციიდან მოიპარეს ლეონარდო და ვინჩის "მადონა თითისტარით". ადგილობრივი პოლიციის მუშაკები აცხადებენ, რომ შედევრი დილის ათ საათზე გაიტანეს. დანაშაულის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ამ ნახატზე ლეონარდო 1500-1510 წლებში მუშაობდა. მხატვარმა ის საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XII-ის სახელმწიფო მდივნის, ფლორიმანდ რობერტეტისთვის შექმნა. ნახატი ზეთის საღებავით არის შესრულებული ხეზე, მასზე გამოსახულია მადონა მთის ქედის ფონზე; მადონას კალთაში ზის იესო, რომელსაც ჯვრის ფორმის თითისტარი უჭირავს.

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

## TV პროგრამა
29 აგვისტო

### რუსთავი - 2
**08.00** კლასიკა **08.50** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **09.10** სერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე“ **10.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.30** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „შავი ზეცა“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა“ **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **18.50** სერიალი „მაშველები“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **23.00** უეფას სუპერთასი. მილანი-პორტო **01.15** მხ.ფილმი „მოსახვევი“. მთ. რ-ში: შონ პენი, ჯენიფერ ლოპესი.

### პირველი არხი
**08.00** მოამბე **08.15** დოკ.სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი“ **09.00** მულტსერიალი „დაკარგული სამყარო“ **09.25** მხ. ფილმი „უსახო კაცი“ **11.15** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **11.30** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ბაზრები“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.05** დოკ. სერიალი **14.00** სერიალი „მარიონი ფაუტერი - ქურდების მეთაური“ **15.15** მხ. ფილმი „უცხო ქალი“ **17.05** სერიალი „ძილის წინ“ **17.20** 50-50 **18.00** „ვესტნიკი“ **18.20** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** „ბენი ჰილი“ **19.25** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.00** მაგთიტრონი **21.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **22.05** „შეხვედრები ფიქრის გორაზე“ **22.45** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.00** მოამბე **23.20** მხ. ფილმი „თუში მეცხვარე“ მე-3 ს. **00.20** მხ. ფილმი „ერთადერთი გამოსავალი“.

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ბეტმენი“ მთ. რ-ში ჯეკ ნიკოლსონი, კიმ ბესინჯერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო“ „ყველაფერი სიყვარულის შესახებ“ მთ. რ-ში ხოაკინ ფენიქსი **01.40** „ღამურა“ „შიში.ქომ“. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** მხ. ფილმი „ფრენის სიჩქარე“ **21.00** საქართველო არის ესე **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი „წითელი დრაკონი“ .

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „დიდი რბოლა“ **15.00** მხ.ფილმი „გასეირნება ამერიკაში“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მულტფილმი „პიტერ პენი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „რაშია საქმე დოკ“ **22.30** მხ. ფილმი „სულელები“ .

### იბერია
**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „ტეხასის მეფე“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკჰოლი **22.15, 23.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი „მეამბოხე“ **02.10** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი
**09.00, 09.50** მუსიკა **09.25** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **10.00** სერიალი „ქავინქტონ კროსი“ **10.50, 14.00, 15.20, 21.45** მუსიკა **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **12.00** „ცხელი ცხრიანი“ **12.40** რუს. მხ. ფილმი „აღმოსავლური რომანი“ **14.15** „ტელემეტრი“ (განმ.) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ქართული ფეხბურთი“ **15.30** სერიალი „ახალი პროფესიონალები“ **16.25** დოკ. სერიალი „ეს ცეკვაა“ 1-ლი ნ. **17.50** მხ. ფილმი „უკვდავი კაშჩეი“ **18.50** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **19.10** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ **21.10** დოკ. ფილმი „ინ ვინო ვერიტას“ **22.00** „ღამის მატარებელი“ (განმ.) **00.20** მხ. ფილმი „ცივი გული“.

### იმედი
**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** სპ. პროგრამა „ასი“ **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გრაფი მონტე კრისტო“ **15.15** მხ. ფილმი „მგზავრი“ **17.30** „მულამები“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.30** სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან“ **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი „გრაფი მონტე კრისტო“ **22.55** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“ **23.55** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **00.50** არტ-ფილმი „ირმის ნახტომი“.

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** დოკუმენტური ფილმი **10.10** საბავშვო ფილმი „ჯუმანჯი“ **12.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **12.20** მელოდრამა „პირადი მცველი“ **14.25, 19.35, 01.00** მუსიკა **14.35** კომედია „სამს პლიუს ორი“ **16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **16.20** მულტფილმი **16.30** ისტორიული ფილმი „გლადიატორი“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.30, 22.55** Пресс-папье **20.05** კომედია „მოგზაურობა ამერიკაში“ **23.00** „ალტერნატივა“ **00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.10** დრამა „ყვირილი“ **03.40** დოკუმენტური ფილმი **04.15** კომედია „მეექვსე ელემენტი“.

### VII არხი
**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** კომპიუტერული ტექნიკა **10.10** მელოდია . **10.30** მობილურები **11.15** დისნეი და მისი მეგობრები **11.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.20** „მელოდია“ **12.35** კომპიუტერული თამაშები **12.40** „მელოდია“ **12.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.10** ვალუტის კურსი **18.15** მოკლედ...საქართველო, ეკონომიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.20** მოკლედ... სპორტი **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.55** „ტალავერი“ **21.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.45** „კინოკლუბი „ - „გაქრობა“. როლებში- ჰეფ ბრიჯესი, კიფერ საზერლენდი. **00.35** მელოდია **00.45** მობილურები.

### ОРТ
**07.00** Телеканал “Доброе утро”. **10.00** Новости. **10.15** Телесериал **„ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ“**. **11.10** Многосерийный фильм **“ЗВЕРЬ ИЗ БЕЗДНЫ”**. **12.05** Легкая атлетика. Чемпионат мира. Передача из Франции. **12.40** Детский сериал **“ТВИНИСЫ”**. **13.00** Новости (с субтитрами) **13.15** Вупи Голдберг в комедии **“МЫЛЬНАЯ ПЕНА”**. **15.05** Премьера. “Город женщин”. Телевизионное шоу. **16.00** Новости (с субтитрами). **16.15** Наталья Гундарева в мелодраме **“ХОЗЯЙКА ДЕТСКОГО ДОМА”**. **18.00** Сериал **“НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ-2”** (Закл. серия). **19.00** Вечерние новости. **19.20** Документальный детектив. “Приговор адвокату”. **19.50** Сериал **“ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН”** (Закл.серия). **20.55** “Поле чудес” **22.00** Время. **22.30** “Золотой Граммофон”. **23.35 Футбол. Суперкубок Европы. “Милан” (Италия) - “Порту” (Португалия)**. **01.40** Боевик **“КРОВАВЫЙ ПОЛЕТ”**

### РТР
**06.00** “Доброе утро, Россия!”. **09.45** Телесериал **“КАМЕНСКАЯ. НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ”**. **10.50** “Комната смеха”. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести. **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва. **12.50** “В поисках приключений”. **13.50** Телесериал **“МАРШ ТУРЕЦКОГО-3. ОБОРОТЕНЬ”**. **14.45, 17.25, 00.20** Вести.Дежурная часть. **15.30** “Что хочет женщина”. Ток-шоу Елены Яковлевой. **16.30** Телесерал “**ЛУЧШИЙ ГОРОД ЗЕМЛИ”**. **18.10** Телесериал **“ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК”**. **19.05** Телесериал **“УНДИНА”**. **20.00** “Аншлаг”. **21.50** “Спокойной ночи, малыши!”. **21.55** ЛЕОНИД ЯРМОЛЬНИК, КЛАРА НОВИКОВА, АЛЕКСАНДР ШИРВИНДТ, НАДЕЖДА БАБКИНА И ДРУГИЕ В ЮБИЛЕЙНОМ ВЕЧЕРЕ АРКАДИЯ ИНИНА. **23.30** Детектив **“ДВОЙНОЙ КАПКАН”** **02.15** Кристоффер Пламмер в фильме **“ДРАКУЛА - 2000”** **03.50 Легкая атлетика**. Чемпионат мира. Трансляция из Парижа. **04.35** “Дорожный патруль”. **04.50** Телесериал **“АНГЕЛЫ ЧАРЛИ”**.

### НТВ
**07.05 Детектив „ХАРПЕР-ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ“** **09.00** Сегодня. **09.20** Детское утро на НТВ. „ГОЛУБОЕ ДЕРЕВО“ **10.00** Совершенно секретно. **11.00** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос: перегораживая пространство. **12.50** Спорт „Лотто 6 из 49“. **13.00, 17.00, 20.00** „Сегодня“ **13.15** Экстремальное шоу „Фактор страха“. **15.05 Боевик „ВНЕ ЗЕМЛИ“ (США). 16.05** Своя игра. **17.20** Галина Логинова. „Женский взгляд“ Оксаны Пушкиной. **17.55 Боевик „ЛУЧШИЕ ИЗ ЛУЧШИХ-2“ 20.35 Боевик „АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-3“ 21.45 Боевик „МУЖСКОЙ ХАРАКТЕР, ИЛИ ТАНГО НАД ПРОПАСТЬЮ-2“. 00.00** „Все сразу!“ **00.35 Худ. фильм „БАРБАРЕЛ-**

# ბრიტანული კომედია ყველაზე პოპულარულია

“ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა”, “ნოთინგ ჰილი”, “ბრიჯიტ ჯონსის დღიური” – ეს ის ფილმებია, რომლებმაც თანამედროვე ბრიტანულ კომედიას მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. სამივე ფილმზე ერთი და იგივე გადამღები ჯგუფი მუშაობდა. რამდენიმე ხნის წინ ისინი კვლავ შეიკრიბნენ და ინგლისურ იუმორზე დაყრდნობით მორიგი კომერციული კომედია გადაიღეს, რომელშიც მათთვის წარმატების მომტანი მსახიობი – ჰიუ გრანტი მონაწილეობს. Love Actually – ასე ჰქვია ამ ახალ პროექტს, რომელსაც ყველაფერი აქვს ფინანსური წარმატების მოსაპოვებლად – იუმორიც, ლამაზი ბრიტანული პეიზაჟებიც და ვარსკვლავებით დაკომპლექტებული დასიც. ჰიუ გრანტის გარდა ფილმში ხომ ემა ტომპსონი (“გრძნობა და გონება”), ლიამ ნისონი, კეირა ნაიტლი (ეს გოგონა ახლახან გახდა ცნობილი ფილმიდან “კარიბის ზღვის მეკობრეები”), კოლინ ფირტი და ანჯელინა ჯოლის უკვე ყოფილი მეუღლე, ბილი ბობ ტორნტონი მონაწილეობენ.



ჰიუ გრანტი და ჯულია რობერტსი "ნოთინგ ჰილში"

თუმცა, ამ ტრადიციული “ინგრედიენტების” გარდა Love Actually კიდევ ერთი პლუსით ხასიათდება – ის განსაკუთრებით სასაცილოა იმიტომ, რომ მასში ერთდროულად რამდენიმე ჩახლართული სასიყვარულო ისტორია ვითარდება. ჰიუ გრანტი გვევლინება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის როლში, რომელსაც მოსამსახურე შეუყვარდება. ემა ტომპსონი პრემიერის დის როლს თამაშობს. ერთი შეხედვით აწყობილ ცხოვრებას მას ქმრის საყვარელი უნგრევს. ამასობაში კოლინ ფირტი საფრანგეთში მიდის და პორტუგალიელ ქალთან აბამს რომანს, ლიამ ნისონს კი ზედმეტად უყვარს თავისი გერი. ბილი ბობ ტორნტონი აშშ-ს პრეზიდენტია...

ერთი სიტყვით, გადამღები ჯგუფი იმედოვნებს, რომ Love Actually თავისი წინამორბედების მიერ დაწყებულ საქმეს იოლად გააგრძელებს. ახლა კი, ნახეთ რა ფინანსებზეა საუბარი: “ოთხი ქორწილის” გადაღება 4 მილიონი დოლარი დაჯდა, მოგება კი 150 მილიონი დოლარი იყო; “ნოთინგ ჰილი” 27 მილიონ დოლარად გადაიღეს, მოგებამ კი 230 მილიონი დოლარი შეადგინა; “ბრიჯიტ ჯონსის დღიური” 18 მილიონ დოლარად გადაღებული ფილმია, მისი მოგება კი 100 მილიონ დოლარს შეადგენს.

# მსახიობები მოდაში

დიზაინერები სულ უფრო ხშირად იჭრებიან კინოს სფეროში. ლუი ვიტონისა და ჯეი ლოს, დონა კარანისა და კეიტ ბლანშეტის, დონატელა ვერსაჩესა და კრისტინა აგილერას დამეგობრების შემდეგ, ხელშეკრულებას დებენ PRINCIPLES-ი და ბრიტანელი მსახიობი მინი დრაივერი. ის ელიტარული სავაჭრო ნიშნის ახალი სახე ხდება. მინი ამბობს: “ვგიჟდები ტანსაცმელზე. გამოპრანჭვა და ახალი სტილის მორგება ჩემი ჰობია. PRINCIPLES-ის კოლექციებში კი ყოველთვის შემიძლია მოვძებნო ტანსაცმელი, რომელიც ჩემს ინდივიდუალურ სტილს გაუსვამს ხაზს”.



კიმ კარტელი

ამასობაში ფორმდება კიდევ ერთი საინტერესო კონტრაქტი – “სექსი და ქალაქის” ვარსკვლავი, სექსუალური სამანტას როლის შემსრულებელი, კიმ კეტრელი “ბენტლის” ავტომობილების გასაღებისთვის იწყებს ზრუნვას. ფოტოგადაღებები უკვე დასრულდა და რამდენიმე დასავლურ ქალაქში გამოჩნდა კიდეც “ბენტლის” ახალი რეკლამები, რომელზეც მთავარ როლში 47 წლის კიმია. მიუხედავად ასაკისა, წარმოშობით ლივერპულელი ქალბატონი მაინც მშვენივრად გამოიყურება. როგორც ჩანს, ის “ბენტლის” შეფობასაც ძალიან მოსწონს და აცხადებს, რომ კეტრელი მშვენივრად გამოხატავს მათი კომპანიის არსს: “ბენტლის” მანქანა – ეს სიამოვნებაცაა და ფუფუნებაც”.







## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ლიცეუმი

X-XI კლასელთათვის აცხადებს მიღებას ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროფილით. სასწავლო პროცესს წარმართავენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

წარჩინებული მოსწავლეები ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარებისას სარგებლობენ შეღავათებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსი, I სართული.
ტელ: 36 30 73.




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.